

რომის სამართალი: ფინალური გამოცდა

1-ქულიანი საკითხები

1. რომელი ძველ რომაული ორგანო ასრულებდა წარმომადგენლობითი ხელისუფლების ფუნქციას რესპუბლიკის ხანაში? (1 ქულა) – სენატი.
2. ჩამოთვალეთ მოსახლეობის კატეგორიები ძველ რომში იმპერიის ხანაში. (1 ქულა) – პატრიციები და პლებეები.
3. მოსახლეობის რა კატეგორიის ინტერესებს იცავდა ძველი რომის ცივილური სამართალი? (1 ქულა) – პატრიციების.
4. ჩამოთვალეთ არქაული პერიოდის ძველი რომის სამართლის წყაროები. (1 ქულა) - ჩვეულებითი სამართალი, კანონი, პლებისციტი, სარჩელი, იურისტების მოღვაწეობა, სასამართლოს პრეცედენტი, სენატუსკონსულტი, მაგისტრატების ედიქტები, იმპერატორების კონსტიტუციები.
5. რამ განაპირობა ძველი რომის პრეტორული სამართლის წარმოშობა? (1 ქულა) – მონათმფლობელური სისტემისა და ეკონომიკის განვითარებამ, გაბატონებული სოციალური ფენის ხელში დიდი კაპიტალის თავმოყრამ, სოციალურმა დაპირისპირებებმა, ძველი ცივილური სამართლის მიერ ახალი სოციალურ-ეკონომიკური პირობების დაკმაყოფილებამ.
6. რა ძირითადი ნიშნით ხასიათდებოდა ძველი რომაული *adgnatus* ნათესაობა? (1 ქულა) – ისინი ერთ დიდ პატრიარქალურ ოჯახად ცხოვრობდნენ.
7. ვინ იყო *persona sui iuris*? (1 ქულა) – ოჯახის უფროსი, თვითხელისუფალი პირი.
8. ჩამოთვალეთ ძველი რომაული მზითვევის კატეგორიები. (1 ქულა) – *dotis promissio*, *dotis dactio*, *dotis datio*
9. განმარტეთ *successio ex testamento (testamentaria)* ცნება. (1 ქულა) – ანდერძით მემკვიდრეობა. ანდერძის არსი მამკვიდრებლის მონაცვლის გარკვევა იყო.

ანდერძში ქონების მფლობელი ასახელებდა მემკვიდრეს, პირს რომელსაც უნდა გადასცემოდა მისი ქონება ამ პირის გარდაცვალების შემდეგ.

10. განმარტეთ ძველ რომაული საკუთრების უფლების ცნება. (1 ქულა) – საკუთრების უფლების მატარებლებს შეუზღუდავი უფლება ჰქონდათ და ნივთის გამოყენებისა და განკარგვის შესაძლებლობა ეძლეოდათ. ნივთზე კერძო მესაკუთრის უფლება უცხო პირის ჩარევას გამორიცხავდა.

11. დაასახელეთ re-ს (რეალური ხელშეკრულების) ძირითადი პირობები. (1 ქულა) – რეალური ხელშეკრულების ძირითადი პირობებია ნივთის გაცემა და საპასუხოდ ვალდებულების კისრება, რომელიც გულისხმობს ან ფულად ანაზღაურებას ან ნივთზე მზრუნველობას და მისი პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნების უზრუნველყოფას.

12. ჩამოთვალეთ რექსების ხანის ძველი რომის სახელმწიფო ორგანოები. (1 ქულა) – Rex, senatus, comita curiata, comita centuriata.

13. რამდენ და რომელ ეტაპად იყოფოდა ძველი რომის იმპერიული მმართველობის ხანა? (1 ქულა) – პრინციპატი და დომინანტი.

14. რომელ სამართლის აქტს გულისხმობდა ტიტუს ლივიუსი, როცა ამბობდა, რომ «ის ერთდროულად იყო საჯარო და კერძო სამართლის წყარო»? (1 ქულა) – 12 დაფის კანონი.

15. დაასახელეთ ძველი რომის სამართალგანვითარების ეტაპები. (1 ქულა) –

1. არქაული ხანა - ქრ. შობამდე 753 - 367წ.
2. წინა კლასიკური პერიოდი – ქრ. შობამდე 367წ.-დან ქრ. შობის 17წ.
3. კლასიკური იურისპრუდენციის ეპოქა - ქრ. შობის 17 წ. - ქრ. შობის 235 ან 305წ.წ.
4. პოსტკლასიკური პერიოდი IV-Vსს.

16. ჩამოთვალეთ მონობის წყაროები ცივილური სამართლის მიხედვით. (1 ქულა) – თუ ოც წელს გადაცილებული თავისუფალი ადამიანი, გასაყიდი ფასის გარკვეული ნაწილის მიღების მიზნით, საკუთარი თავის მონად გაყიდვას დათანხმდა; თუ სიკვდილით დასჯა ან კატორღული სამუშაოების შესრულება მონად გაყიდვით შეიცვლებოდა; თუ მოქალაქე ვერ გაივლიდა პერიოდულ ქონებრივ ცენზს ან სამხედრო სამსახურს თაღლითურად აარიდებდა თავს; მონასთან მრუშობაში მხილებული თავისუფალი მატრონა, მონის მეზატონის სამგზის გაფრთხილების მიუხედავად, მასთან აკრძალულ კავშირს თუ არ შეწყვეტდა, მონის მეზატონის მხევალი ხდებოდა.

17. რა იყო ცაპიტის *deminutio minima* -ს შედეგი? (1 ქულა) – საოჯახო სტატუსის დაკარგვა, უფლებაუნარიანობის მინიმალური დამცრობა.

18. ჩამოთვალეთ პრეტორული მემკვიდრეობის რიგში შემავალი პირები. (1 ქულა) – გარდაცვლილის როგორც ნამდვილი, ისე ემანციპირებული ღვიძლი შვილები; ლეგიტიმები; მეშვიდე თეაობამდე ღვიძლი ნათესავები; გააზატებული პატრონის მეუღლე და შვილები; პატრონის პატრონი; ცოცხლად დარჩენილი მეუღლე; პატრონის ნათესავები, რომლებსაც უფლება ჰქონდათ ბეითალმან ქონებაზე.

19. ჩამოთვალეთ მზითევის დადგენის ხერხები. (1 ქულა) - *Dotis promissio*, *dotis dactio*, *dotis datio*.

20. განმარტეთ *legatum* -ის ფლორენტინუსისეული დეფინიცია. (1 ქულა) – ლეგატი არის მემკვიდრეობის შემცირება, რითაც მოანდერძეს სურს მესამე პირს გადასცეს იმ ქონების ნაწილი, რასაც მემკვიდრე მთლიანად მიიღებს.

21. დაასახელეთ ძველრომაული საკუთრების უფლების თავდაპირველი შეძენის გზები. (1 ქულა) – ოკუპაცია, განძი, ნივთის გადამუშავება.

22. ჩამოთვალეთ ვალდებულების შესრულების საშუალებები. (1 ქულა) – რაიმე ნივთის გადაცემა, რაიმეს გაკეთება (მოქმედება ან მოქმედებისგან თავის შეკავება), რაიმე მომსახურების გაწევა.

23. დაასახელეთ რესპუბლიკის პერიოდის ძველ რომში მოქმედი სახალხო კრებები. (1 ქულა) – comitia curiata, comitia centuriata, comitia tributa.

24. როგორ განვმარტავთ პრინციპატის პერიოდს? (1 ქულა) – პრინციპატი იყო შენიღბული, შელამაზებული რომაული იმპერია, რომლის დროსაც ფორმლურად განაგრძობდნენ არსებობას რესპუბლიკის პერიოდის სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, თუმცა რეალური ძალაუფლება თავმოყრილი იყო მხოლოდ პრინციფსისა და მისი უახლოესი გარემოცვის ხელში.

25. რომელი თანამდებობის პირები და რა ვადით გამოსცემდნენ edicta-ს? (1 ქულა) – მაგისტრატები, ერთი წლის ვადით.

26. რა ნაწილებისგან შედგებოდა Institutiones Iustiniani? (1 ქულა) – 1. ზოგადად რომის სამართლის სისტემის მიმოხილვა, სამართლის წყაროები, პირები, საოჯახო სამართლის ინსტიტუტები; 2. ნივთები, საკუთრების უფლება, მფლობელობა და ა. შ.; 3. მემკვიდრეობითი სამართალი და ვალდებულებები; 4. სარჩელები და სასამართლო პროცესები.

27. ვინ და რის შედეგად იქნდა latini Iuniani -ს სტატუსს? (1 ქულა) – გააზატებული, რომელმაც მოქალაქეობა იუნია ნორბანას კანონით მოიპოვა.

28. ჩამოთვალეთ ძველრომაული ოჯახის თავისებურებანი. (1 ქულა) – რომაული ოჯახი იყო პატრიარქალური და პატრილოკალური.

29. ჩამოთვალეთ ძველრომაული ქორწინების ნამდვილობის პირობები. (1 ქულა) – ქორწინების უფლება, ნათესაური კავშირის არქონა, მექორწინეთა ასაკი.

30. დაასახელეთ ძველრომაული საკუთრების უფლების სახეები. (1 ქულა) – კვირიტული, პერეგრინების, პროვინციული, ბონიტარული ანუ პრეტორული.

31. განმარტეთ legatum-ის მოდესტინუსისეული დეფინიცია. (1 ქულა) – legatum იყო ანდერძით ჩუქება.

**32. რას ნიშნავს Usufructus? (1 ქულა)** – უზურფრუქტი სხვისი ნივთით სარგებლობის უფლება იყო. პირს, რომელსაც ასეთი უფლებამოსილება ჰქონდა უზურფრუქტუარი ეწოდებოდა. მას შეეძლო ნივთით სარგებლობაც (uti) და მისი ნაყოფითაც (frui), ოღონდ ნივთი არ უნდა დაეზიანებინა და არც მისი ნაყოფით სარგებლობის უფლება უნდა დაერღვია.

**33. დაასახელეთ ვალდებულების შესრულების პირობები. (1 ქულა)** – ვალდებულება უნდა შესრულდეს დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

**34. ვინ მართავდა პროვინციებს პრინციპატის ხანაში? (1 ქულა)** – ყველაზე მდიდარ პროვინციებს, მათი შემორიგების საბაზით, პრინციფსი უშუალოდ საკუთარ ხელისუფლებას უქვემდებარებდა, ხოლო დანარჩენი სენატის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში რჩებოდა.

**35. დაასახელეთ რესპუბლიკის პერიოდის სახელმწიფო ორგანოების სისტემა. (1 ქულა)** – რექსი (უზენაესი სამხედრო და პოლიტიკური ბელადი), სენატი (უზუცესთა საბჭო), კომიციების სახალხო კრება (საგანგებოდ მოწვეული სახალხო კრება), კურიის სახალხო კრება (მისი კომპეტენცია იყო lex curiata de imperio et adrogatio) ცენტურიის სახალხო კრება (სერვიუს ტულიუსის მიერ შექმნილი სამხედრო-პოლიტიკურ-ფისკალური გაერთიანება).

**36. რას ნიშნავს agere, cavere et respondere?(1 ქულა)** – agere-სასამართლოში საქმის წარმოება, როდესაც იურისტი მხარის დაცვის ფუნქციებს საკუთარ თავზე იღებდა და ადვოკატად გამოდიოდა. cavere-სარჩელების, გარიგებების და ანდერძის შედგენას ნიშნავდა. respondere-იურისკონსულტის მიერ კერძო პირების შეკითხვებზე პასუხის გაცემა და საკუთარი აზრის გამოთქმა.

**37. რას ამბობდა gaius-ი Senatusconsulta -ს შესახებ? (1 ქულა)** – სენატის დადგენილება არის ის, რაც სენატმა ბრძანა და დაადგინა; მას აქვს კანონის ძალა, თუმცა, ამის შესახებ ბევრს დაობენ.

38. ჩამოთვალეთ *servi*-ს გააზატების (*manumissio*) გზები. (1 ქულა) – კვერთხის დადებით, ცენზში შეტანით, ანდერძით, მეგობრების წრეში.

39. ვინ შედიოდა *in patria potestas*-ში? (1 ქულა) – ცოლი, შვილები და მონები.

40. დაასახელეთ *iustum matrimonium*-ის დამაბრკოლებელი გარემოებანი. (1 ქულა) – ქორწინების უფლების არქონა; ნათესაური კავშირის ქონა; საქორწინო ასაკის არქონა.

41. რას ნიშნავს ძველრომაული პატრილოკალური ქორწინება? (1 ქულა) – ქორწინების შემდეგ ცოლი შედიოდა ქმრის ოჯახში.

42. განმარტეთ საკუთრების უფლების შინაარსი. (1 ქულა) – სრული აბსოლუტური აბსტრაქტული უფლება, რომელიც შეიცავს ოთხ ელემენტს: *uti, frui, habere, possidere*.

43. დაასახელეთ თანასაკუთრების (*communio, condominium*) წარმოშობის გზები. (1 ქულა) – ერთსა და იმავე ნივთზე რამდენიმე პირის საკუთრების უფლება; ნივთის ერთობლივი მფლობელობა და ამ ნივთით ეერთობლივი სარგებლობა.

44. განმარტეთ *obligatio* (ვალდებულების) ძველრომაული დეფინიცია. (1 ქულა) – ვალდებულება არის სამართლებრივი ბორკილი, რომლის ძალითაც იძულებული ვართ რაიმე შევასრულოთ ჩვენი სახელმწიფოს კანონების შესაბამისად.

45. ვინ მართავდა დიოცეზებსა და პროვინციებს დომინატის ხანაში? (1 ქულა) – დიოცეზებს განაგებდა ვიკარიუსი, პროვინციებს კი – რექტორი.

46. ჩამოთვალეთ დიოკლეტიანეს ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად შექმნილი სამოხელეო სისტემის უმაღლესი თანამდებობების პირები. (1 ქულა) – *Quaestor sacri Palatii, Magister officiorum, Comes sacrarum Largitationum, Comes Rerum Privatarum, Magister Militum, Augustus*.

47. რას ამბობდა Ulpianus-ი Constitutiones principium -ის შესახებ? (1 ქულა) – პრინციფის გადაწყვეტილებას კანონის ძალა აქვს, რადგან ხალხი იმპერატორს მთელ ხელისუფლებას, პრინციფის ხელისუფლების შესახებ გამოცემული კანონით, გადასცემს.

48. ძველი რომის სამართლის წყაროთა იერარქიაში რა ადგილი ეკავა plebiscita-ს? (1 ქულა) – თავდაპირველად პლებისის სახალხო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები – პლებისციტები – სავალდებულო მხოლოდ პლებისისთვის იყო. თუმცა, ჰორტენზიუსის კანონის მიხედვით, ისინი მთელი რომაელი ხალხისთვის სავალდებულო გახდა. პლებისციტები კანონებს გაუთანაბრეს.

49. ვინ იყვნენ latini prisci და რით განსხვავდებოდნენ ისინი cives romani-სგან? (1 ქულა) – latini prisci იყვნენ რომის მოქალაქეებთან ყველაზე ახლოს მდგომი უცხოელები, უძველესი ლათინები. latini prisci-ს cives romani-სგან განსხვავების ძირითადი კრიტერიუმი იყო ფაქტობრივი საცხოვრებელი და, აქედან გამომდინარე, გარკვეული სამოქალაქო თემისადმი კუთვნილება.

50. განმარტეთ Colonus-ის ცნება. (1 ქულა) – ფაქტობრივად ნახევრადთავისუფალი მიწათმოქმედნი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ სახელმწიფოს მიწებზე.

51. ჩამოთვალეთ ძველრომაული საქორწინო რიტუალის სახეები. (1 ქულა) – coemptio, confarreatio, usus.

52. დაასახელეთ ძველ რომში არსებული შვილად აყვანის წესები. (1 ქულა) – adoptio et adrogatio.

53. ვის შორის ეწყობოდა confarreatio საქორწინო რიტუალი? (1 ქულა) – ქორწინების ეს რიტუალი მხოლოდ პატრიციებისთვის იყო ნებადართული და ათი ქურუმი ადასრულება.

54. ჩამოთვალეთ საკუთრების უფლების შეძენის ნაწარმოები გზის სახეები. (1 ქულა) – traditio, mancipatio, in iure cessio.

55. განმარტეთ ხელშეკრულების (contractus) ძველრომაული დეფინიცია. (1 ქულა) - კონტრაქტი არის ვალდებულებითი ხელშეკრულება.

56. ჩამოთვალეთ magistratus maiores. (1 ქულა) – კონსული, პრეტორი, ცენზორი, ედილი, კვესტორი და პლესისის ტრიბუნი.

57. ჩამოთვალეთ პრინციპატის პერიოდის სახელმწიფო ორგანოთა სისტემა. (1 ქულა) – სენატი, სახალხო კრებები, იმპერატორის კანცელარია.

58. როდის შეიქმნა და რამდენი წიგნისგან შედგებოდა Digesta Iustiniani? (1 ქულა) – 530-33 წელს შეიქმნა და შედგებოდა 50 წიგნისგან.

59. რა ქმედებებს ეხებოდა Leges duodecim tabularum-ის VIII და IX დაფები? (1 ქულა) – სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებს, დანაშაულებსა და სასჯელის დადგენის საფუძვლებს.

60. რა ძირითად პრინციპს ეფუძნებოდა tutela et cura? (1 ქულა) – Bonafides.

61. ჩამოთვალეთ persona-ს სტატუსები და კაპიტუსები. (1 ქულა) – თავისუფლების სტატუსი, რომის მოქალაქის სტატუსი, საოჯახო მდგომარეობის სტატუსი. არსებობდა უფლებაუნარიანობის სრული, ნაწილობრივი და მინიმალური დამცრობა.

62. მემკვიდრეობის რამდენი რიგი (gradus) განსაზღვრა 543 წლის 118 Novellae Iustiniani-მ? - 4რიგი.

63. მხოლოდ ჩამოთვალეთ რომის სამართალში მოქმედი, საკუთრების უფლების შეწყვეტის გზები. (1 ქულა) – 1. ნივთის განადგურება, 2. როცა მესაკუთრე თვითონ აცხადებს უარს ნივთზე, 3. მესაკუთრეს ჩამოერთმევა საკუთრება, 4. ნივთის ბრუნვიდან ამოღება.

64. რა გზით იქმნებოდა შემთხვევითი თანამესაკუთრეობა და როგორ იყოფოდა თანამესაკუთრეთა წილი? (1 ქულა) – თანასაკუთრება იქმნებოდა მემკვიდრეობით ან ლეგატით და იყოფოდა იდეალური წილით.



65. დაასახელეთ *delictum privatum* -ის სახეები. (1 ქულა) - ქურდობა, მარცვა, მკვლევლობა, სხვისი ქონების დაზიანება ან განადგურება.

66. ვინ დებდა *obligatio naturales*? (1 ქულა) - ნატურალური ვალდებულება დაიდებოდა მონების მიერ, მოგვიანებით კი, იმ პირების მიერ, რომლებიც *paterfamilias* ხელისუფლებაში შედიოდნენ.

67. მხოლოდ ჩამოთვალეთ *magistratus* ნიშნები. (1 ქულა) - 1.არჩევითობა; 2. კოლეგიალობა; 3. თანამდებობაზე ყოფნის ერთწლიანი ვადა; 4. უსასყიდლობა; 5. ანგარიშვალდებულება.

68. რა სტატუსი ჰქონდა *Senatus* რესპუბლიკურ რომში? (1 ქულა) - უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობითი და სათათბირო ორგანო იყო.

69. რას ამბობდა *Gaius*-ი *lex*-ის შესახებ? (1 ქულა) - ეს არის ის რასაც ხალხი ბრძანებს და დაადგენს.

70. ძველ რომში, რა მოვლენაა დაკავშირებული ქრ. შობამდე 367 წელთან? (1 ქულა) - ქრ. შობამდე 367წ. ტრიბუნ ლიცინიუს სტოლონუსისა და მისი კოლეგა სექსტიუს ლატერანუსის ინიციატივით მიღებული კანონით (*lex Liciniae Sextiae*) დადგინდა: ერთ-ერთ კონსულად აუცილებლად პლებსის წარმომადგენელი უნდა არჩეულიყო.

71. ძველ რომში ვინ იცავდა *peregrini* -ს სამართლიან ინტერესებს? (1 ქულა) - პრეტორი თავისი სარჩელებით.

72. ვინ იყვნენ *peregrini* და რით განსხვავდებოდნენ ისინი *subditi*-სგან? (1 ქულა) - *Cives Romani* იყვნენ რომის მოქალაქეები, *subditi* -ც მოქალაქეებს წარმოადგენდნენ ოღონდ ისინი დომინანტის დროს ქვეშევრდომები გახდნენ.

73. ვის შვილად აყვანა ხდებოდა *adoptio*-ს გზით? (1 ქულა) - სხვის ხელისუფლებაში მყოფი პირის შვილად აყვანა.

74. რას ამბობდა Digesta-ში Ulpianus-ი fideicommissum-ის შესახებ? (1 ქულა) - ფიდეიკომისი გათანაბრებულია ლეგატთან.
75. რას ნიშნავდა successio per universitatem (in universum ius)? (1 ქულა) - უნივერსალური მონაცვლეობა, წინამორბედი პირის სამართლებრივი მდგომარეობა მთლიანად სხვა პირზე გადადიოდა.
76. დაასახელეთ ნივთების ის კლასიფიკაცია, რომელიც მხოლოდ რომის სამართალში იყო ცნობილი. (1 ქულა) - res mancipi et res nec mancipi.
77. ჩამოთვალეთ obligatio -ს შინაარსის ელემენტები რომის სამართალში. (1 ქულა) - გადაცემა, მინიჭება, შესრულება.
78. რომელი ინსტიტუცია აღიჭურვა iurisdictio -თი ძველ რომში? (1 ქულა) - სასამართლო.
79. რა სტატუსით სარგებლობდა ძველრომაელი rex-ი? (1 ქულა) - ის იყო უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ბელადი რომელიც მოსახლეობის თხოვნით ასრულებდა საკრალურ ფუნქციასაც.
80. რა ძირითად მოთხოვნას უყენებდნენ consuetudo -ს? (1 ქულა) - 1. გარკვეული წესით ხანგრძლივად, უწყვეტად, მოქმედება და მისი დაცვა. 2. ხალხის სამართლებრივ მრწამსთან შესაბამისობა. 3. არსებულ კანონთან შესაბამისობა.
81. როდის და ვის მიმართ გამოიყენა «კანონი ციტირების შესახებ»? (1 ქულა) - ვალენტინიანე III-ის მიერ 426 წ. 7 ნოემბერს მიღებული კანონით `ციტირების შესახებ` დადგინდა იმ ხუთი ყველაზე ცნობილი იურისტი, რომელთა მოსაზრებებსაც, სხვებთან შედარებით, უპირატესობა მიენიჭათ.
82. რა სტატუსი ჰქონდა servi-ის რომის სამართალში? (1 ქულა) - მონა (servus) პოლიტიკური საზოგადოების მიღმა იდგა, ის არც ius civile-ს და არც ius gentium-ს სუბიექტი იყო. სხვა ანტიკური სამართლებრივი სისტემების მსგავსად, რომის სამართალით მონა ნივთად (res) ითვლებოდა.

83. რას ნიშნავდა *successio in singulas res*? (1 ქულა) - სინგულარული მონაცვლეობა, როცა მემკვიდრეობის სუბიექტი იძენდა მისი წინამორბედის უფლებების ნაწილს.
84. როდის დგებოდა *ab intestato* მემკვიდრეობის საკითხი? (1 ქულა) - როდესაც პირი გარდაიცვლებოდა ისე რომ მან არ დატოვა ანდერძით მემკვიდრე ან ანდერძი გაბათილდებოდა.
85. დაასახელეთ ქალისა და მამაკაცის საქორწინო ასაკი რომის სამართლის მიხედვით. (1 ქულა) - ქალის 12 წელი, ვაჟის - 14.
86. ვინ იყო *dominium ex iure Quiritium* სუბიექტი? (1 ქულა) - რომის სრულუფლებიანი მოქალაქეები.
87. მხოლოდ დაასახელეთ *delicta privatae*-ს 4 აუცილებელი ნიშანი. (1 ქულა) - ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა, სხვისი ქონების დაზიანება ან განადგურება.
88. რა სახის *contractus* -ი იყო *emptio-venditio*? (1 ქულა) - ყიდვა-გაყიდვის.
89. განმარტეთ რექსების ხანის სახელმწიფო მმართველობის ფორმა. (1 ქულა) - ეს იყო მონარქია, რომის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ადრეული ეტაპი.
90. ჩამოთვალეთ იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ გატარებული რეფორმები. (1 ქულა) - მოსახლეობის აღწერა, ადმინისტრაციული რეფორმა (იმპერიის ოთხ რეგიონად დაყოფა), სამხედრო რეფორმა, ედიქტის გამოშვება მაქსიმალური ფასების შესახებ.
91. რა შედეგი მოჰყვა იმპერატორ მარკუს აურელიუს ანტონინუსის მიერ 212 წელს *Constitutio Antoniniana* -ს გამოცემას? (1 ქულა) - უცხოელებს რომის მოქალაქეობა მიენიჭათ.
92. მხოლოდ ჩამოთვალეთ რომის სამართლის ისტორიული სისტემები. (1 ქულა) - *ius civile*, *ius natural*, *ius gentium*, *ius honorarium*.

93. დაასახელეთ პრეტორული ინტერდიქტის ყველაზე გავრცელებული ნაირსახეობა. (1 ქულა) - რესტიტუცია.

94. დაასახელეთ ძველრომაული ქორწინების სახეები. (1 ქულა) - სრულუფლებიანი და არასრულუფლებიანი, სრულუფლებიანი ქორწინება ორი სახის იყო: ქორწინება ქმრის ხელისუფლებით და ქმრის ხელისუფლების გარეშე.

95. სად და ვის მიერ ხდებოდა *adrogatio* წესით შვილად აყვანის პროცედურის დამტკიცება? (1 ქულა) - *adrogatio* -თი პრინციფსისა და მაგისტრატის ნებართვით მშობლის ხელისუფლებაში მყოფი პირების შვილება ხდებოდა. შვილად აყვანა კურიის კომიციებში ტარდებოდა და მთელი შემადგენლობის მიერ მტკიცდებოდა.

96. ვის ენიშნებოდა *tutela et cura*? (1 ქულა) - *tutela* არასრულწლოვნებსა და ქალებზე (იმპერიის შუა პერიოდამდე) წესდებოდა, ხოლო *cura* სულით ავადმყოფებზე, მფლანგველებზე, მცირეწლოვნებზე, ავადმყოფებზე, ზოგჯერ არასრულწლოვნებზეც(იმპერიის პერიოდამდე).

97. რას ნიშნავდა *res extra commercium*? (1 ქულა) – ბრუნვიდან ამოღებული ნივთები.

98. განმარტეთ *possessio*-ს დეფინიცია რომის სამართალში? (1 ქულა) - ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა მფლობელობად (*possessio*) იწოდებოდა.

99. რა სახის *contractus*-ი იყო *depositum*-ი? (1 ქულა) - პირისათვის ნივთის დეპონირება; დეპონენტის ინტერესების შესაბამისად, ნივთის შესანახად გადაცემა.

2 - ქულიანი ტერმინების განმარტება

1. **constitutiones principium** - ის რაც დაადგინა პრინციპსა და ხმა მისცა ხალხმა, შემდეგ კი მიიღო კანონის ძალა. ფორმის მიხედვით, იმპერატორის კონსტიტუციები იყოფა: : 1. Edicta; 2. Decreta; 3. Rescripta.

2. **res corporales** - სხეულებრივი ნივთები. სხეულებრივია ის ნივთები რომელთა შეხებაც ფიზიკურად შეიძლება.

3. **manumissio testamentaria**- გააზატება ანდერძით. იგი თავდაპირველად კომიციებში მტკიცდებოდა ან ბრძოლისათვის მზადმყოფი ჯარის წინაშე წარმოითქმებოდა.

4. **ius civile** – ცივილური სამართალი. თავდაპირველად ამ სამართალს კვირიტული სამართალი ეწოდებოდა და იმ შემთხვევაში გამოიყენებოდა, როდესაც საქმე ნივთზე საკუთრების უფლებას ეხებოდა. მოგვიანებით, სამართლის ამ სისტემას ცივილური სამართალი ეწოდა, რითაც ხაზი გაესვა რომის მოქალაქეთა სამართლის მკაცრად ეროვნულ ხასიათს. საკანონმდებლო დონეზე ცივილური სამართალით კერძო სამართლის ვიწრო ეროვნული სისტემა რეგულირდებოდა; ფართო გაგებით კი, ცივილური სამართალი ყველა კომენტარს მოიცავდა, რომელიც რომაელმა იურისტებმა, XII დაფის კანონთა სისტემასთან ერთად შექმნეს.

5. **obligatio ex delicto** - დელიქტიდან წარმოშობილი ვალდებულებები. ეს ვალდებულებები ბრალეული ქმედების ჰიპოთეზას შეიცავდა და პრეტორული სარჩელის მეშვეობით იღვევებოდა.

6. **sine manu mariti** - ქორწინება ქმრის ხელისუფლების გარეშე. ქმრის ხელისუფლების გარეშე ქორწინების დროს, ქმარს ცოლის პიროვნებასა და მის ქონებაზე უფლება აღარ ჰქონდა, ვინაიდან ცოლი ქმრის ხელისუფლებაში აღარ იმყოფებოდა.

7. **possessio et detentio** - ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა მფლობელობად იწოდებოდა. მფლობელობის ობიექტად მიიჩნეოდა მხოლოდ სხეულებრივი ნივთები. რომაელები განასხვავებენ სატიტულო მფლობელობას და უტიტულო მფლობელობას, რომელსაც ეწოდებოდა ბუნებრივი მფლობელობა, ან პერობა. ნივთის ფაქტობრივ ფლობად პერობა მხოლოდ მაშინ მიიჩნეოდა, თუ

წარმოიშობოდა იმ იურიდიული ფაქტის საფუძველზე, რომელიც საკმარისად მიიჩნეოდა მფლობელობის შესაძენად.

**8. plebiscita** - თავდაპირველად, პლებისსის სახალხო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები – პლებისციტები სავალდებულო მხოლოდ პლებისსათვის იყო, თუმცა, ქრ. შობამდე 287 წ., ჰორტენზიუსის კანონით ისინი მთელი რომაელი ხალხისათვის სავალდებულო შეიქნა და ისინი კანონებს გაუთანაბრეს

**9. in integrum restitutio** - პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. -პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.მაგ: სასამართლო პროცესის დროს, შეცდომაში შეყვანის შედეგად, მესამე პირს შეეძლო მოეთხოვა in integrum restitutio. ამ შემთხვევაში პირს შეიძლება ზიანის ანაზღაურებაც დაკისრებოდა.

**10.res immobiles** - უძრავი ნივთები. უძრავ ნივთებს განეკუთვნებოდა მიწის ნაკვეთი და მიწის წიაღი, ამავე დროს მიწის ზედაპირზე სხვისი ან მესაკუთრის შრომით შექმნილი სიკეთე, რომელიც მიწის ზედაპირის ხელოვნურ ან ბუნებრივ ნაწილად ითვლებოდა. ამ ნივთებზე ვრცელდებოდა წესი მიწის ზედაპირზე შექმნილის თაობაზე, რომელიც მიწის ზედაპირისაგან ისევე განუყოფელი იყო, როგორც მიწის ზედაპირის საჰაერო სივრცე მოიაზრებოდა მის ნაწილად.

**11.manumissio inter amicos** - მეგობრების წრეში მონის გააზატებისას მეგობრები მიიჩნეოდნენ გააზატების პროცესის მოწმეებად, ისინი გამოდიოდნენ აზატის უფლების და მოვალეობის გარანტად პატრონთან ურთიერთობაში, რადგან აღმოეფხვრათ პატრონის მხრიდან შესაძლო თვითნებობა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

**12.locatio-conductio rei** - იჯარით აღება; საცხოვრებელი სახლის დაქირავება. იჯარა კონსენსუალური კონტრაქტი იყო, რომლის თანახმად, ერთი მხარე, კერძოდ მეიჯარე ნივთს ან სამსახურს დროებით გადასცემდა მეორე მხარის, ანუ მოიჯარეს განკარგულებაში. locatio-conductio rei -ს თანახმად, მეიჯარე უძრავი ან მოუხმარი მოძრავი ქონებით სარგებლობის უფლებას მოიჯარე პირს უთმობდა.

**13. successio legitima** - უნივერსალური მონაცველობა კანონის ძალით. ეს იყო მემკვიდრეობა ანდერძის გარეშე, კანონით. სამემკვიდრეო მონაცველობის

უძველესი ფორმა, რომელიც XII დაფის კანონებით რეგულირდებოდა. მას კანონიერი მონაცვლეობაც ეწოდებოდა.

#### **14. dare-facere-praestare (oportere) –**

1. dare - საკუთრების გადატანა, გადაცემა. რაიმე ნივთის მესაკუთრედ ქცევა ან სანივთო უფლების დადგენა, აგრეთვე რაიმე მომსახურების გაწევა.

2. facere - გარკვეული მოქმედების შესრულება. ყველა მოქმედებას, რომელიც გარკვეული მოქმედების შესრულებას გამოხატავს ან მოქმედებაზე უარის თქმას ან ნივთის მისი მესაკუთრისათვის გადაცემას.

3. praestare - უზრუნველყოფა, გარანტიის მიცემა. რაიმეს გარანტირება ან უზრუნველყოფა და ამისათვის საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება.

**15. res extra commercium** - ნივთები, რომლებიც სამოქალაქო ბრუნვიდანაა ამოღებული. ასეთებია: 1. ჰაერი, გამდინარე წყალი, ზღვა და მთელი სიმდიდრე; 2. საჯარო ნივთები; ამ ნივთების ერთ-ერთი და ძირითადი მეპატრონე იყო რომაელი ხალხი; 3. საერთო საზოგადოებრივი გამოყენების ნივთები (გზები, მდინარეები); 4. საკულტო ნივთები.

**16. rector** – პროვინციის მმართველი დიოკლეტიანეს რეფორმით. რომში სულ 101 პროვინცია შეიქმნა. პროვინციები დიოცეზების შემადგენლობაში შედიოდა და რექტორ-ები ვიცარუს-ებს ემორჩილებოდნენ.

**17. adoptio et adrogatio** - როგორც იუსტინიანეს დიგესტებიდან ირკვევა, რომში შვილად აყვანის ორი სახე არსებობდა: 1. adoptio არათავისუფალი პირის შვილად აყვანა და 2. adrogatio თავისუფალი პირის შვილად აყვანა. adrogatio, რომლის დროსაც ოჯახის მამა სხვა ოჯახის მამის ხელისუფლებაში გადადიოდა და მისი უფლებამოსილებაც სრულად ხვდებოდა მშვილებლის. adoptio მაგისტრატების ნებართვით დაიშვებოდა და სხვის ხელისუფლებაში მყოფი პირის ერთი ოჯახიდან მეორეში გადასვლა გულისხმობდა.

**18. confarreatio** - ქორწინების საზეიმო რიტუალი, რომელსაც ათი ქურუმი ადასრულებდა და მხოლოდ პატრიციებისათვის იყო ნებადართული. რიტუალის დროს საპატარძლო და საქმრო წმინდა პურს ტეხდნენ და ქურუმების მითითებებს ასრულებდნენ.

**19. *damnum iniuria datum*** - ზიანის მართლსაწინააღმდეგო მიყენება - XII დაფის კანონები რამდენიმე სპეციფიკურ ჰიპოთეზას გულისხმობდა, რომელთა შორის ცნობილია ხეების თვითნებური გაჩეხვა და სხვისი მონისათვის მიყენებული დაზიანება. მართლსაწინააღმდეგოდ მიყენებული ზიანის გამო, პასუხისმგებლობამ დამოუკიდებელი ახსნა-განმარტება ქრ. შ.-მდე 286 წ. მიღებულ, აკვილიუსის კანონში (*lex Aquilia*) შეიძინა. იგი გულისხმობდა პასუხისმგებლობას სხვისი მონის ან პირუტყვის მკვლელობის გამო, რაც განადგურებული ნივთის ღირებულების უმაღლეს ფასს შეადგენდა. ასევე ნივთის ყოველგვარ დაზიანება: ბრალეულს მესაკუთრისათვის ჯარიმის გადახდის მოვალეობა ეკისრებოდა ნივთის უმაღლესი ფასის ოდენობით.

**20. *obligatio naturales, civilis et honorariae*** - ვალდებულება იყოფოდა შემდეგ ჯგუფებად: 1) *obligationes civiles* (ცივილური ვალდებულება); 2) *obligationes honorariae* (პრეტორული ვალდებულება); 3) *obligationes naturales* (ბუნებითი ვალდებულება). საწყის სტადიაზე არსებობდა მხოლოდ ის ვალდებულებები, რომლებიც ცივილური სარჩელებით იყო უზრუნველყოფილი. ნატურალური ვალდებულება დაიდებოდა მონების მიერ, მოგვიანებით კი, იმ პირების მიერ, რომლებიც *paterfamilias* ხელისუფლებაში შედიოდნენ. ამ სარჩელებს არ გააჩნდათ სასარჩელო დაცვა. “*obligatio naturales*” ცნება იულიანუსის დროს დამკვიდრდა და მომდევნო პერიოდის იურისტები ახსენებენ მას, როგორც ისეთ ვალდებულებას, რომელმაც საკუთარი სახელწოდება შეიძინა საყოფაცხოვრებო ენაში მისი, გარკვეულწილად, ბოროტი გამოყენების შედეგად.

**21. *tutela et cura*** - მზრუნველობა და მეურვეობა - ძველი რომაული სამართლით, საოჯახო სამართლის სფეროს განეკუთვნებოდა მზრუნველობისა და მეურვეობის ინსტიტუტები. მეურვეობა იყო მზრუნველობა და წარმომადგენლობა, რომელიც სამართლით უწესდებოდა იმ პირს, რომელსაც საერთოდ ან ჯეროვნად არ შეეძლო ზრუნვა საკუთარ პიროვნებასა თუ ქონებაზე. *Tutela* არასრულწლოვნებსა და ქალებზე (იმპერიის შუა პერიოდამდე) წესდებოდა, ხოლო *cura* სულით ავადმყოფებზე, მფლანგველებზე, მცირეწლოვნებზე, ავადმყოფებზე, ზოგჯერ არასრულწლოვნებზეც (იმპერიის პერიოდამდე).



**22. *edicta magistratuum***- მაგისტრატების ედიქტები. უმაღლესი სამხედრო და საჯარო ხელისუფლების (*imperium*) მქონე რომაელ მაგისტრატებს *ius edicendi* განხორციელება ედიქტების საშუალებით შეეძლოთ. მაგისტრატების ედიქტებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა ქრ. შობამდე II საუკუნეში, *lex Aebutia*-ს გამოცემით შეიძინა.

**23. *dictator***- დიქტატორი. არაორდინალური მაგისტრატი. რომის იმპერიის უზენაესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა დიქტატორმა იგდო ხელთ; საგანგებო ვითარების დროს კონსულები ნიშნავდნენ დიქტატორს, რომლის უფლებამოსილება მხოლოდ ექვსი თვით გამისაზღვრებოდა. ამ დროის განმავლობაში ის იყო ერთპიროვნული ხელისუფალი, რომლის კომპეტენციაში უზენაესი სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაცია შედიოდა. დიქტატურის დროს მოქალაქეთა ყველა უფლება შეჩერებული იყო.

**24. *legisactio sacramento in personam***- (პირადი სარჩელები), აღნიშნული სასამართლო პროცესის სახე ეფუძნებოდა ფიცს და მართლსაწინააღმდეგო (დაუსაბუთებელი) მოთხოვნის წამომყენებელი პირის (რომელმაც კერძო კანონი (*lex privata*) ანუ ნორმატიულად მნიშვნელოვანი ფორმალურად გამოიყენა) პასუხისმგებლობას ადგენდა.

**25. *societas*** - ამხანაგობის ხელშეკრულება \_ კონსესუალური კონტრაქტი, რომლის მიხედვით ორი ან მეტი მონაწილე, ურთიერთვალდებულებას იღებდა, ქონების ან სამუშაოს გაერთიანების გზით, ეწარმოებინათ ერთიანი საქმე და ერთმანეთში გაენაწილებინათ მიღებული მოგება და განცდილი დანაკლისი.

**26. *successio testamentaria*** - ანდერძით მემკვიდრეობა. ანდერძი იყო პირის ნების სამართლებრივად დადგენილი და საზეიმო ფორმით შედგენილი გადაწყვეტილება, რომელსაც სავალდებულო ძალა მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ ენიჭებოდა. ანდერძით მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ქონება არა უბრალოდ სხვისდებოდა, არამედ ის თავის მაგივრად ასახელებდა სხვა პირს, რომელიც, მისი ამქვეყნად არყოფნისას, მას შეეცვლიდა. ანდერძით მემკვიდრეობისას მამკვიდრებელს თავისი ნება უნდა განეცხადებინა. მამკვიდრებლის ნების გამოხატვის 3 გზა არსებობდა:

1.განცხადება კურიის სახალხო კრებაზე 2.განცხადება საომრად გამზადებული ჯარის წინაშე და 3.ანდერძის დადება ლიბრალური რიტუალით.

**27. re et consensu** - consensu კონსენსუალური ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების დადებისას არ იყო საჭირო მხარეთა სავალდებულო დასწრება და ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საკმარისი იყო თანხმობის წერილობითი ფორმით ან წარმომადგენლის მეშვეობით გამოხატვა. ხელშეკრულების აღნიშნული სახის თავისებურებად მისი ორმხრივობა ითვლებოდა. re - რეალური კონტრაქტები. re კონტრაქტების კატეგორია განისაზღვრებოდა მათი დადების ფორმის მიხედვით: მხარეთა შეთანხმების გარდა, ვალდებულების წარმოშობისათვის, მოვალისათვის ნივთის გადაცემა იყო სავალდებულო. რეალური კონტრაქტის დადებისას გარიგება მხოლოდ მაშინ ითვლებოდა დადებულად და ვალდებულება წარმოშობილად, როცა შეთანხმების ობიექტი მოვალის ხელში გადავიდოდა.

**28. iniuria** - დელიქტის სახე, რომელიც პიროვნების შეურაცხყოფას ნიშნავს. XII დაფის კანონებმა პირადი შეურაცხყოფის სამი ჰიპოთეზა გამოჰყვეს: 1. ასოთმილება 2. ძვლის მოტეხვა, სხეულის მძიმე დაზიანება და 3. პიროვნების ნებისმიერი შეურაცხყოფა.

**29. iurisprudentia** - იურისტების საქმიანობა იწყება ქრ.შ.-მდე მესამე საუკუნიდან, განვითარების მწვერვალს აღწევს კლასიკურ პერიოდში. იურისპრუდენცია არის საღვთო და ადამიანური საქმეების შეცნობა, მეცნიერება სამართლიანობისა და უსამართლობის შესახებ. მისი დანაწესებია: პატიოსნად ცხოვრება, სხვისთვის ზიანის არმიყენება, თითოეულისთვის თავისის მიზღვევა. სამართლის მეცნიერება იყოფა ორ ნაწილად: საჯაროდ და კემოდ. საჯაროა ის, რომელიც რომის სახელმწიფოს მდგომარეობას ეხება, კერძო სამართალი კი კერძო პირებს, კერძო სამართალი სამ ნაწილიანია: ბუნებითი, ხალხთა და ცივილური.

**30. iura in re aliena** - სხვისი ნივთით სრული ან ნაწილობრივი სარგებლობის უფლება, რომელიც კონკრეტულ მიწას ან კონკრეტულ ადამიანს უკავშირდება. ასეთი იყო, მაგალითად, სერვიტუტი, სუპერფიციუმი, ემფითევეზისი, გირავნობა.

**31. legisactio sacramento in rem** - სანივთო სარჩელი. ეს იყო ფიცზე დაფუძნებული სანივთო სარჩელი, კანონიერ სარჩელთა შორის უძველესი. სასამართლო ხორციელდებოდა პრეტორის წინაშე წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე; მოწინააღმდეგე მხარეები ხელში იღებდნენ სარიტუალო კვერთხსა და სადავო ნივთს და მორიგეობით წარმოთქვამდნენ შაბლონურ სიტყვებს.

**32. ius migrandi** - რომში გადასახლების უფლება. ius migrandi -ის უფლება ჰქონდათ რომაელების მიერ შექმნილ კოლონიებში მცხოვრებ პირებს, რომლებსაც რომაელები ლათინებს უწოდებდნენ,

**33.furtum manifestum** - აშკარა ქურდობა. ნაქურდალით ხელში ქურდის დაკავება. ამ შემთხვევაში ქურდი გაიროზგებოდა და დაზარალებულის ხელისუფლებაში გადაეცემოდა. იგი დაზარალებულის მონად ცხადდებოდა.

**34. status libertatis, civitatis et familiae** - რომის სამართალი პირის სამ სტატუსს განასხვავებდა: status libertatis, status civitatis, status familiae, ანუ რომის მოქალაქეები, რომლებიც იმ ოჯახს ეკუთვნოდნენ, რომელშიც დაიბადნენ და სამივე სტატუსს ფლობდნენ; საკუთარი ოჯახის უფროსის ხელისუფლებიდან გასული და ოჯახის მიღმა მყოფი პირები ორ სტატუსს, ხოლო თავისუფალი უცხოელები – მხოლოდ ერთ სტატუსს ფლობდნენ. status libertatis იყო თავისუფალი მდგომარეობა. status civitatis მოქალაქეობა. status familiae ოჯახისადმი კუთვნილება.

**35. coemptio** - რესპუბლიკის პერიოდისათვის იყო ნიშანდობლივი. ეს იყო საპატარძლოს სიმბოლური ყიდვა, რასაც წინ უსწრებდა ან მოსდევდა ქორწინებაზე თანხმობა.

**36. senatusconsultum** - ხალხის მონაწილეობის გარეშე მიიღებოდა. ქრ. შობის II საუკუნემდე შჩ-ს კანონის ძალა არ გააჩნდა და ამიტომ ius civile -ს შექმნაში უშუალო მონაწილეობას ვერ იღებდა. ქრ. შობის II საუკუნეში, როცა senatusconsultum -ს კანონის ძალა მიეცა, იმპერატორის კანცელარია საგრძნობლად გააქტიურდა, კერძო სამართალი ius civile -ს ფარგლებში განვითარდა, ედიქტი კი არსებითად შეიზღუდა და მისი განვითარების პროცესიც შეჩერდა.

**37.iudicia bonae fidei** - კეთილსინდისიერი მართლმსაჯულების აღსრულება - ასეთი სარჩელის მეშვეობით მოსარჩელე გარიგებიდან ითხოვდა არა მარტო დადებითი ინტერესის დაკმაყოფილებას, არამედ იმ შედეგის დადგომასაც, რომელიც დამატებით შეთანხმებებს ეფუძნებოდა.

**38.ius commercii** - სავაჭრო სამართალი; ვაჭრობის უფლება - ეს იყო ზოგადი ხასიათის, კერძოდ, ყოველგვარი ფორმალურობისაგან თავისუფალი სასაქონლო გაცვლა-გამოცვლის გარიგებები, ლათინთა კავშირის წევრთა ტომობრივი მსგავსება და მჭიდრო ეკონომიკური კავშირები. საბოლოოდ, რომელთა მსოფლიო ბატონობამ, ხალხის სამართლის მეშვეობით, იმპერიის სხვადასხვა ნაწილში მოქმედი სავაჭრო ინსტიტუტები ერთიანი სამართლებრივი სისტემაში მოაქცია.

**39.Rapina** - ძარცვა. ძალის გამოყენებით, სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო ამოღებას ძარცვას უწოდებდნენ და მას კვალიფიციურ ქურდობად მიიჩნევდნენ. ძარცვა ძალის გამოყენებით ამოღებული ქონების შესახებ სარჩელით იდევნებოდა. ძარცვას კლასიკოსები, ხოლო მოგვიანებით იუსტინიანეს კანონმდებლობა დელიქტად, კერძო სამართალდარღვევის ერთ-ერთ სახედ მიიჩნევდნენ. ძარცვას ქურდობისაგან ქმედების ფარულობის არარსებობა განასხვავებდა.

**40.verbis et litteris** - კონტრაქტის სახეები. ვერბის ანუ ვერბალური, ზეპირი ფორმის. ვერბალური კონტრაქტი იდებოდა იმ პირობით, რომ კონტრაქტებს შეეძლოთ საუბარი და მოსმენა ანუ არ იქნებოდნენ ყრუ-მუნჯები და ისინი ერთ ადგილას – ხელშეკრულების დადების დროს – იქნებოდნენ Literis ანუ ლიტერალური. დაწერილი ფორმის სახეა ლიტერალური კონტრაქტი, რომელიც იუსტინიანეს დროში თითქმის გამოვიდა ხმარებიდან. ლიტერალური კონტრაქტი იდებოდა ფულადი სესხების გზით.

**41.quaestor** - კვესტორი იყო კონსულის თანაშემწე, რომელსაც, უმთავრესად, სახელმწიფო დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნა და დანაშაულის გამოძიება ევალებოდა. გარდა ამისა, კვესტორებს, დანაშაულებრივი

ხელყოფისაგან სახელმწიფო ხაზინისა და სხვა სახის საზოგადოებრივი ქონების დაცვაც ევალებოდათ.

**42. ius honorarium** - ქრ.შ-მდე 17 წ. *leges actiones* პროცესის გაუქმებამ მაგისტრატების ედიქტს მიაქნია თითქმის მონოპოლური მდგომარეობა სამოქალაქო პროცესუალური საშუალებების შექმნის მხრივ. ასე ჩამოყალიბდა ახალი განსაკუთრებული ნორმატიული სისტემა - *Ius Honorarium* ანუ *Ius Praetorium* (მაგისტრატების ანუ პრეტორული სამართალი), რომელსაც *Ius Civile* მიმართ გამოყენებითი მნიშვნელობა ჰქონდა: თუ მოქალაქე არ გამოიყენებდა პრეტორული დაცვის განსაკუთრებულ საშუალებებს, ის დარჩებოდა ცივილური სამართლის ნორმატიულ ჩარჩოებში, ხოლო პრეტორულმა სამართალმა ხელი შეუწყო *Ius Civile* ინსტიტუტების მოდიფიკაციას მატერიალური მნიშვნელობითაც.

**43. leges (lex)** - კანონი არის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, განსაკუთრებული წესით მიღებული, უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებს (არეგულირებს) საზოგადოებრივი ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს მხარეებს (სფეროებს). ძველ რომში სამართლის უმნიშვნელოვანეს წყაროს დაწერილი ფორმის კანონი წარმოადგენდა. გაიუსის ინსტიტუციების თანახმად კანონი არის ის, რაც ხალხმა ბრძანა და დაადგინა. კანონები უზრუნველყოფდნენ სამართლის სიზუსტესა და სიცხადეს. მათივე დანიშნულება იყო მოქალაქეთა და მმართველთა თვითნებობის გამორიცხვა.

**44. vicarius** - პირი, რომელიც ასრულებს მოვალეობებს უფრო მაღალი თანამდებობის შემცველის ან წარმომადგენლის სტატუსით. კანონიკური სამართლის კოდექსი ვიკარიუსთა სხვადასხვა ტიპებს განასხვავებს: ა) სამოციქულო ვიკარიუსი ბ) გენერალური ვიკარიუსი; გ) საეპისკოპოსო ვიკარიუსი; დ) სასამართლო ვიკარიუსი.

**45. interdictum** - ინტერდიქტი. სასამართლო მაგისტრატი, როგორც უზენაესი ხელისუფალი, მოქალაქეთა მიმართ ბრძანებებს გამოსცემდა. ეს ბრძანებები იყო ინტერდიქტები. ინტერდიქტებს პრეტორები საქმის გამოძიების დროს

გამოსცემდნენ, რის გამოც, ინტერდიქტები იყო უპირობო და კატეგორიული ბრძანებები, რომლებიც ჯარიმისა და გირაოს შეტანის სანქციას გასცემდნენ. განასხვავებდნენ ინტერდიქტის შემდეგ სახეებს: 1. მარტივი და რთული; 2. აღმკვეთი; 3. აღდგენითი; 4. წარმდგენითი.

**46. cum manu mariti** - ქორწინება ქმრის ხელისუფლებით. ქმრის ხელისუფლებით ქორწინების დროს საქმროს და საცოლის ოჯახის უფროსებს შორის წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ცოლი ქმრის ხელისუფლებაში გადადიოდა. მართალია, მზითევი ცოლის ქონება იყო, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს ვითარება ქორწინებაში მყოფ ქალს არანაირ უფლებას არ ანიჭებდა მზითევზე, ვინაიდან სამართლებრივად იგი უფულებო იყო.

**47. ius gentium** - ხალხის სამართალი უცხოელების კერძო უფლებების დაცვის და აღიარების საფუძველზე შეიქმნა. სამართლის ამ სისტემამ შეითვისა ის ჩვეულებითი სამართალი, რომელიც პრაქტიკულად გამოიყენებოდა სავაჭრო ურთიერთობებისას. ius gentium -ის ნორმებს რომელიც პრეტორი მხოლოდ რომში იყენებდა და რომში მოქმედ სამართლად რჩებოდა.

**48. successio in singulas res** - სინგულარული მონაცვლეობა. სინგულარული მემკვიდრეობა. მემკვიდრეობა რომლის დროსაც მემკვიდრეობის სუბიექტი იძენდა მხოლოდ იმ უფლებების ნაწილს, რომელიც მანამდე მის წინამორბედს ეკუთვნოდა.

**49. mos, fas, mores maiorum** - წინაპართა დაანდერძევი, დანაბარები. მისი დაცვა გაფრთხილება პონტიფიკოსებს ევალებოდათ. მათი ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ პონტიფიკოსები და გვიანდელი პერიოდის საერო იურისტები სწორედ მათ იყენებდნენ იმ გადაწყვეტილებათა მისაღებად, რომელთა გამოტანა კანონის საფუძველზე შეუძლებელი იყო.

**50. praetor** - პრეტორი. რომის მმართველობის სისტემაში უმაღლესი მაგისტრატ. იგი მართლმსაჯულებას განახორციელებდა. არსებობდა ორი სახის პრეტორი: ქალაქის და პერეგრინების. ქალაქის პრეტორი კონსულის უმცროსი თანაშემწე და შესაბამისი ძალაუფლებით აღჭურვილი პირი უნდა ყოფილიყო.

პერეგნინების პრეტორი კი საქმეს იმ შემთხვევაში განიხილავდა თუ გარიგების ერთ-ერთი მხარე უცხოელი იყო.

**51. aequitas et bonae fidei** - სამართლიანობა და კეთილსინდისიერება. - სამართლიანობის პრინციპი, უძველეს ზოგადსაკაცობრიო იდეალსა და იმედს გამოხატავდა. aequitas იყო ზესამართლებრივი იმპერატივი, გადამრჩენი ინსტრუმენტი, რომელიც სისხლის სამართალს ადამიანებისათვის მისაღებად აქცევდა.

**52. emptio-venditio** - ყიდვა-გაყიდვა - ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება აფორმებდა შეთანხმებას ნივთის სასყიდლიანი შეძენის შესახებ. ყიდვა-გაყიდვა არის კონსენსუალური კონტრაქტი, რომლის მეშვეობით ერთი მხარე – გამყიდველი მოვალეა, ნივთით დაუბრკოლებელ მფლობელობაში, შეიყვანოს მეორე მხარე – მყიდველი, რომელიც თავის მხრივ მოვალეა გამყიდველს გადაუხადოს ფულის გარკვეული თანხა. ყიდვა-გაყიდვის საქონლად ნებისმიერი, სხეულებრივი და უსხეულო ნივთი გამოიყენებოდა. ყიდვა-გაყიდვის ობიექტი შეიძლება მომავალი ნივთიც გამხდარიყო: მიწის ნაკვეთიდან. - მიღებული ნაყოფი, პირუტყვის ნამატი და სხვა. ყიდვა – გაყიდვის შემადგენელი ელემენტები იყო: 1) მხარეთა ურთიერთშეთანხმება, 2) ხელშეკრულების საგანი (ნივთი) და 3) ფასი.

**53. ius conubii** - ქორწინების უფლება. - დასაქორწინებელ პირებს რომაული სამართლით აღიარებული ქორწინების უფლება ანუ იუს ცონუბიი უნდა ჰქონოდათ; ამ უფლებით მხოლოდ რომაელი მოქალაქეები სარგებლობდნენ, ხოლო უცხოელები ამგვარი უფლებით მხოლოდ იმ შემთხვევაში სარგებლობდნენ, თუ მათ მას საგანგებოდ მიანიჭებდნენ.

**54. obligatio ex contractu** - საკონტრაქტო ვალდებულებები. - კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები. კონტრაქტი არის ვალდებულებითი ხელშეკრულება, რომელიც უკვე უძველეს ius civile არსებობდა. კონტრაქტები ოთხი სახის იყო. 1) ვერბალური – ზეპირი ფორმის; 2) ლიტერალური – დაწერილი ფორმის; 3) რეალური – გარკვეული მოქმედების შესრულების აუცილებლობით; 4) კონსენსუალური – შეთანხმებითი კონტრაქტები. კონტრაქტების პირველი ორი

სახეობა ფორმალურ ხელშეკრულებებს, ბოლო ორი – არაფორმალურ ანუ მატერიალურ ხელშეკრულებებს განეკუთვნება.

**55. mutuum (mutui datio)**- სესხის ხელშეკრულებები. სესხის ხელშეკრულებით წარმოიშობოდა ცალმხრივი ვალდებულება. სესხის ხელშეკრულების ობიექტი იყო არა კონკრეტული ნივთი, არამედ მისი მსგავსი გვარობითი ნივთები, ამიტომ ნასესხები ნივთის შემთხვევითი დაღუპვა წარმოშობილი ვალდებულების შეწყვეტას არ გამოიწვევდა.

**56. capitis deminutio maxima, media et minima** - უფლებაუნარიანობის სრული, ნაწილობრივი, მინიმალური დამცრობა - პირის სამი სტატუსის თანადროულად, არსებობდა უფლებაუნარიანობის დამცრობის სამი ხარისხი: capitis deminutio maxima, media et minima. დიგესტებში უფლებაუნარიანობის დამცრობის აღნიშნული ხარისხების შესახებ წერია: `იმ სამი მდგომარეობის \_ თავისუფლება, მოქალაქეობა, ოჯახი \_ მიხედვით, რომელთაც ჩვენ ვფლობთ, არსებობს უფლებაუნარიანობის დამცრობის სამი ხარისხი: სრული, ნაწილობრივი და მინიმალური. ყველა მათგანის, ანუ თავისუფლების, მოქალაქეობისა და ოჯახის სტატუსის დაკარგვით, უფლებაუნარიანობის ყველაზე დიდი დამცრობა ხდება; მოქალაქეობის დაკარგვისას რადგან თავისუფლება შენარჩუნებულია, უფლებაუნარიანობის საშუალო დამცრობა ხდება; ხოლო თავისუფლებისა და მოქალაქეობის შენარჩუნებისას, თუ მხოლოდ საოჯახო სტატუსი იკარგება, მაშინ უფლებაუნარიანობის დამცრობა მინიმალურად ითვლება`.

**57. censor** - ყოფილი კონსულები 18 თვის ვადით აირჩეოდნენ ცენზორებად, რომელთა მოვალეობაც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, ქონებრივი ცენზის მიხედვით, მოქალაქეების აღწერა და მათი სათანადო კატეგორიებში განწესება გახლდათ. ცენზორი აკომპლექტებდა სენატს, ზედამხედველობდა მოქალაქეთა ზნეობას.

**58. ius suffragii** - აქტიური საარჩევნო უფლება. ხმის მიცემის უფლებას, რომელიც ლათინური ქალაქებისა და კოლონიების მოსახლეობას ჰქონდა მინიჭებული.

**59. depositum** - შენახვის ხელშეკრულება - depositum ხელშეკრულების მიხედვით, უხრწნელი, მოძრავი ნივთი სხვა პირს შესანახად გადაეცემოდა. depositum



პრინციპულად უსასყიდლო ხელშეკრულებაა და ის მეგობრობას ეფუძნება. დეპოზიტარიუსი, შესანახად მიბარებულ, ნივთს არ ფლობდა, თუმცა მის პყრობას ახორციელებდა. ის მოვალე იყო შეენახა ნივთი და არ ჰქონდა ამ ნივთით სარგებლობის უფლება

**60. dominium ex iure Quiritium** - კვირიტული საკუთრების უფლება - კვირიტული სამართლის მიხედვით, საკუთრების უფლება ჰქონდათ სრულუფლებიან რომაელ მოქალაქეებსა და res commercii -ის მქონე პირებს. რომაული სამართლის თანახმად, გარდა სამართალსუბიექტობისა, საჭირო იყო, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის პირობა ჰქონოდა ნივთსაც. პირველ რიგში, ასეთი ნივთები იყო: : res mancipi et res nec mancipi.

**61. ius praetorium** - პრეტორული სამართალი. ძველი ცივილური სამართლის დადგენილებები, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით, ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ვეღარ პასუხობდა. აღნიშნული ხარვეზები სასწრაფო აღმოფხვრას საჭიროებდა, რომლის გამოსწორებაც სასამართლო მაგისტრატებმა \_ პრეტორებმა \_ ითავეს. პრეტორული სამართალი თანმიმდევრულად იქმნებოდა, რასაც შედეგად მოჰყვა ძირითად პრეტორული ედიქტების საფუძველზე შექმნილი, მთელი რიგი ახალი ინსტიტუტები, რომლებიც სამართლებრივი დაცვის ახალი საშუალებებით აღიჭურვა. ცივილური სამართალი პრეტორული სამართლის სისტემას არც ცვლიდა და არც აუქმებდა, პირიქით, მის პარალელურად იქმნებოდა და მასთან ერთად არსებობდა.

**62. emancipatio** - მამის ხელისუფლებიდან გათავისუფლება. ემანციპაცია იყო წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შვილების ან შვილიშვილების გათავისუფლება მამის ხელისუფლებიდან. ვაჟიშვილის შემხვევაში, ემანციპაცია სამჯერ გამოიყენებოდა, ქალიშვილის მიმართ მხოლოდ ერთხელ. ემანციპაციის შედეგად, ემანციპირებული პირი სუი იურის ხდებოდა, მაგრამ მის შვილებზე ემანციპაციო არ ვრცელდებოდა. კანონის თანახმად, ემანციპაციას ქონების დანაწევრება არ უნდა გამოეწვია, შესაბამისად, იგი მხოლოდ ერთ ვაჟიშვილზე ვრცელდებოდა. აქედან გამომდინარე, მამა ცდილობდა, რომ ემანციპაციის მეშვეობით სხვა შვილებისათვის დამოუკიდებლად არსებობის პირობების შეექმნა.

**63. colonus** - III საუკუნეში, ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების პირობებში, დამოკიდებული მოსახლეობის განსაკუთრებული კატეგორია – მიწაზე მიმაგრებული გლეხობა (coloni) წარმოიშვა. კოლონატის წარმოშობის საფუძვლები იყო: 1. თუ ერთ-ერთი მშობელი კოლონი იყო, ბავშვი დედის მდგომარეობას იღებდა; 2. თუ პირი 30 წლის განმავლობაში კოლონი იყო, ხანდაზმულობის ვადის ძალით, იგი მიწაზე მიმარგებას ექვემდებარებოდა. კოლონატის შეწყვეტის პირობები იყო: 1. მემამულის მიერ მიწაზე უარის თქმით; 2. თუ კოლონი, 30 წლის განმავლობაში, თავისუფალი პირის სტატუსით ცხოვრობდა; 3. თუ კოლონი 30 წლის განმავლობაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს წევრი – დეკურიონი – იყო; 4. თუ მიწის მესაკუთრის თანხმობით კოლონი ეპისკოპოსობას მიიღებდა ან მონაზონი გახდებოდა.

## 5 – ქულიანი თემები

### 1. **Persona (ძირითადი ნიშნები). Capitis deminutio et status.**

რომის სამართალში პირის ცნებით, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი აღინიშნებოდა. ადამიანური არსება ფიზიკურ პირად მას შემდეგ მიიჩნეოდა, რაც: 1. ჩვილი დედის სხეულს გამოეყოფოდა, 2. დაიბადებოდა ცოცხალი, 3. დაიბადებოდა ადამიანის იერ-სახით, 4. დაიბადებოდა ფიზიკურად საკმარისად ჩამოყალიბებული. რომის სამართალში პირს ჰქონდა სხვადასხვა მახასიათებლები, ნიშნები. ძირითად ნიშნებს წარმოადგენდა: სქესი, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნათესაური კავშირი, სამოქალაქო თემისადმი კუთვნილება და საცხოვრებელი ადგილი. რომის სამართალი მხოლოდ ორ საპირისპირო სქესს – მამრობით და მდედრობით – აღიარებდა.

რომის სამართლით, ადამიანის ქმედუნარიანობა, ძირითადად, ასაკის საფუძველზე განისაზღვრებოდა, ამიტომ, სამართლით დადგინდა ორი ასაკობრივი ეტაპი არასრულწლოვანების ასაკი და სრულწლოვანების ასაკი. სრულწლოვანების ასაკად მიიჩნეოდა ვაჟებისათვის 14, ხოლო გოგონებისათვის 12 წლის ასაკი. პირის ქმედუნარიანობაზე უშუალო გავლენას ახდენდა დაავადება.

განასხვავებდნენ ფიზიკურ და სულიერ დაავადებას.

რომის სამართალი განასხვავებდა ნათესაობის ორ სახეს: ბუნებრივ, სისხლისმიერსა, და წმინდა იურიდიულ ნათესაობას.

რომის სამართლის თანახმად, ნათესაობის რამდენიმე სახეს განასხვავებდნენ: 1. აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესაობას, 2. გვერდითი ხაზის ნათესაობას, 2. რთულ და მარტივ ნათესაობას.

წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, ნათესაობად მიიჩნეოდა იმ პირთა ერთობა რომელნიც საერთო მამის – *paterfamilias* – ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ.

ასეთი ნათესაობა ერთიან ცივილურ ოჯახს ეფუძნებოდა. *Personals* ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენდა ასევე საქალაქო თემისადმი კუთვნილება და საცხოვრებელი ადგილი.

რომის სამართალი პირის სამ სტატუსს განასხვავებდა: თავისუფალი მდგომარეობა, მოქალაქეობა, ოჯახისადმი კუთვნილება. ძველ რომში ადგილი ჰქონდა უფლებაუნარიანობის დამცრობას. დიგესტებში უფლებაუნარიანობის დამცრობის აღნიშნული ხარისხების შესახებ წერია: `იმ სამი მდგომარეობის – თავისუფლება, მოქალაქეობა, ოჯახი – მიხედვით, რომელთაც ჩვენ ვფლობთ, არსებობს უფლებაუნარიანობის დამცრობის სამი ხარისხი: სრული, ნაწილობრივი და მინიმალური. ყველა მათგანის, ანუ თავისუფლების, მოქალაქეობისა და ოჯახის სტატუსის დაკარგვით, უფლებაუნარიანობის ყველაზე დიდი დამცრობა ხდება; მოქალაქეობის დაკარგვისას რადგან თავისუფლება შენარჩუნებულია, უფლებაუნარიანობის საშუალო დამცრობა ხდება; ხოლო თავისუფლებისა და მოქალაქეობის შენარჩუნებისას, თუ მხოლოდ საოჯახო სტატუსი იკარგება, მაშინ უფლებაუნარიანობის დამცრობა მინიმალურად ითვლება`.

## **2. Communio (condominium).**

რომაელი იურისტები აღიარებდნენ თანამესაკუთრეთა თანამფლობელობის უფლებას ანუ ნივთის ერთობლივ მფლობელობას და ნივთით სარგებლობას. ნაყოფიც მათ მიერ იდეალური წილებით შეიძინებოდა. თუ ნივთით სარგებლობა დადგენილი წესების ზღვარს სცილდებოდა, მაშინ ყველა მფლობელისა და

მოსარგებლის თანხმობა იყო საჭირო. თანასაკუთრებას *Communio (condominium)*-ი ეწოდებოდა. თანასაკუთრების ვითარება ნებაყოფლობით ან შემთხვევით წარმოიშობოდა. თანასაკუთრების ნებაყოფლობითი წარმოიშობა ამხანაგობის ხელშეკრულების მეშვეობით ან რამდენიმე პირის ნებაყოფლობითი მოქმედებით ხდებოდა, კერძოდ, ეს უკანასკნელნი, თანასაკუთრებაში პროპორციული წილების შეტანით, აერთიანებდნენ საკუთარ ქონებას. ქონების შემთხვევითი გაერთიანება რამდენიმე პირის მიერ ერთი და იგივე ნივთის შეძენის შედეგად ხდებოდა. თანასაკუთრებიდან თითოეულ მესაკუთრეს საკუთარი წილის გასხვისება და დატვირთვა შეეძლო. ამავე მოცულობით თანამესაკუთრებს, მესამე პირის წინაშე, საკუთარი უფლებების დაცვის უფლებაც ჰქონდათ. თანასაკუთრების გაყოფისას, თანამესაკუთრეთა წილები მოსამართლეს საკუთარი შეხედულებისამებრ შეეძლო გამოეყო, მაგრამ გაყოფადი ნივთი სამართლიან ფასად უნდა შეეფასებინა.

### **3. Corpus Iuris Civilis.**

იუსტინიანეს სამართლებრივი პოლიტიკა და მისი ინიციატივით განხორციელებული სამართლის კოდიფიკაციის მეშვეობით, ევროპულმა კულტურამ კლასიკური პერიოდის რომაელი იურისტების ტექსტები და იმპერატორების კონსტიტუციები შეინარჩუნა. მოგვიანებით, კოდიფიკაციის ტექსტებს – *corpus iuris civilis* – დასავლეთ ევროპაში სწავლობდნენ. ის ოფიციალურ სახელმძღვანელოს – *institutiones* – წარმოადგენდა. იგი 529 წელს გაიუსის, ფლორენტინუსის, მარციანუსის, ულპიანესა და სხვათა *institutiones* საფუძველზე იქნა შედგენილი. 529–534 წლებში საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ კლასიკოსთა თხზულებების ანთოლოგია – *digesta* – მოამზადა. 529 წელს იმპერატორთა კონსტიტუციების კრებული – *codex* – შევიდა ძალაში.

იუსტინიანეს ინსტიტუციებმა ჩვენამდე IX და X საუკუნეების ხელნაწერთა სახით მოაღწია. პრეტორული ედიქტის წესის მიხედვით, იუსტინიანეს კოდექსში ადრიანეს დროიდან მოყოლებული იუსტინიანეს მმართველობამდე (529 წ. ჩათვლით) არსებული იმპერატორების კონსტიტუციებია გაერთიანებული.

კოდექსთან უშუალო კავშირშია კოდიფიკაციის შემდეგ იუსტინიანეს მიერ

შექმნილი ახალი კონსტიტუციები – *novellae constitutiones* – რომელთაგანაც ზოგიერთის მიზანი კერძო სამართლის ინსტიტუტების გარდაქმნაა.

იუსტინიანეს კოდიფიკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია *digesta*. სწორედ ამ გამოცემამ შემოგვინახა კლასიკური იურიდიული ტექსტები, რის საფუძველზეც IX საუკუნიდან მოყოლებული, იტალიაში რომის სამართალი ევროპელ იურისტთა მუდმივი შესწავლის ობიექტად იქცა. *Digesta* 50 წიგნისგან შედგება და მოცემულია ამონარიდები 38 იურისტის 275 თხზულებიდან, რომელთაგანაც თითოეულ ამონარიდში თხზულებების ავტორთა სახელებია მითითებული.

#### **4. *Comitia centuriata* – სტატუსი რესპუბლიკური რომის სახელმწიფო მექანიზმში.**

509წელს ქრ.შ-მდე რექსების განდევნის შემდეგ ახალი პერიოდი იწყება, სასამართლო ხელისუფლება და საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ორ უმაღლეს მაგისტრატს მიენიჭა-კონსულსა და სენატს (არისტოკრატიულ საბჭოს). კანონების მიღება მხოლოდ სენატის მიერ მათი მოწონებისა და კომისიების მიერ შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ ხდებოდა. რესპუბლიკის დამყარება ხალხის სუვერენიტეტის გამარჯვებასა და რომის სამოქალაქო თემად, *civitas*-დ გადაქცევას მოწმობდა. ამ პროცესის დასაბამად მიჩნეულია სერვიუს ტულიუსის რეფორმები, რომელთა შედეგად მოსახლეობა ახალ სამხედრო-ადმინისტრაციულ ცენტურებად დაყოფას დაექვემდებარა და ახალი სახის სახალხო კრებები *Comitia centuriata* დაწესდა. ქონებრივი ცენზის მიხედვით სერვიუს ტულიუსმა მოქალაქეები 5ჯგუფად დაყო. პირველი, უმაღლესი ჯგუფის წევრობისთვის სავალდებულო იყო 100 000 სისტერნის ქონა, მეორესთვის-10 000, მესამესთვის-5 000, მეოთხისთვის-25 000, მეხუთე ჯგუფს 12 000 სისტერნის ქონა მოეთხოვებოდა. მოქალაქეთა თითოეული კატეგორია ვალდებული იყო გამოეყვანა ცენტურიის განსაზღვრული რაოდენობა (მაგალითად, პირველ კატეგორიას 30 ცენტურიის გამოეყვანა ევალებოდა). მხედრობას 18 ცენტურია გამოჰყავდა, ხოლო დამხმარე კარი (მუშები, მუსიკოსები და პროლეტარიი) კიდევ 5 ცენტურიას ქმნიდა. ამგვარად, ცენტურიების საერთო რიცხვი 193 შეადგენდა. ცენტურია ერთდროულად სამხედრო ერთეული და პოლიტიკურ-ფისკალური გაერ-თიანება

იყო, ანუ მათ სახალხო კრებაზე ხმის მიცემის უფლება ჰქონდა. ხმის მიცემისას პირველობა მოქალაქეთა ყველაზე შეძლებულ ფენას ენიჭებოდა, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვების შემდეგ ხმის მიცემის პროცედურა წყდებოდა.

## 5. საკუთრების უფლების სახეები.

საკუთრების უფლების 5 სახე არსებობდა:

1. კვირიტული საკუთრება - კვირიტული სამართლის მიხედვით, საკუთრების უფლება ჰქონდათ სრულუფლებიან რომაელ მოქალაქეებსა და *res commercii* -ის მქონე პირებს. რომაული სამართლის თანახმად, გარდა სამართალსუბიექტობისა, საჭირო იყო, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის პირობა ჰქონოდა ნივთსაც. პირველ რიგში, ასეთი ნივთები იყო: *res mancipi* და *res nec mancipi*, რომელთა შეძენა განსაკუთრებულ ფორმალობებს არ ითხოვდა.

2. პერეგრინების საკუთრება – არარომაელი მოქალაქეები (ლათინები და პერეგრინები) რომს საკუთარი სამშობლოს უფლებით ექვემდებარებოდნენ. რომაული სამართლით, *ius gentium* -ის საფუძველზე, მათ საკუთრების უფლება მხოლოდ მოძრავი ნივთების ბრუნვის სფეროში ჰქონდათ. უცხოელებისათვის საკუთრების შეძენის უფლება მხოლოდ პერეგრინების პრეტორის ედიქტით დაიშვებოდა. სავარაუდოდ, უცხოელები მხოლოდ მფლობელობით ინტერდიქტებს სჯერდებოდნენ. *Dominium* -ის მფლობელობა მათ არ შეეძლოთ. თუმცა, უცხოელთა ქონება პრეტორის განსაკუთრებული სარჩელებით იყო დაცული.

3. პროვინციული საკუთრება – პროვინციულ მიწაზე რომაელი ხალხის საკუთრება დაპყრობის უფლებას ეფუძნებოდა. ეს იყო საჯარო-სამართლებრივი ტიპის საკუთრება. პროვინციული საკუთრება, რომელზეც საკუთრების უფლება მტრისათვის წართმეული ტერიტორიის მფლობელობას ეხებოდა, მხოლოდ *populus Romani* გააჩნდა. ასეთ მიწას რომაელი იჯარით გადასცემდა კერძო პირებს. პოსტკლასიკურ პერიოდში პროვინციული საკუთრების უფლების წესი მფლობელობის ინსტიტუტს თითქმის შეერწყა.

4. ბონიტარული ანუ პრეტონული საკუთრება - საკუთრების აღნიშნული კატეგორია წარმოიშობოდა იმ შემთხვევაში, როცა პრეტორი, ცივილური მესაკუთრის სარჩელისაგან, საკუთარი სარჩელით იცავდა იმ პირს, რომელმაც მანციპირებადი ნივთი შეიძინა. თუმცა, აღნიშნული ნივთის გადაცემა *mancipatio an in iure cessio*-ს ფორმების დაუცველად მოხდა.

5. საკუთრება იუსტინიანეს სამართლით - მიწის ნაკვეთების კვირიტულ და პროვინციულ საკუთრებად დაყოფის გაუქმების შემდეგ, ყოველგვარი გარიგების მიმართ, მიწის ერთიანი საჯარო რეგისტრაცია შემოიღეს, რომელსაც *transcriptis* ეწოდა. აქედან გამომდინარე, იუსტინიანეს კანონმდებლობით, მხოლოდ *dominium ex iure Quiritium* აღადგინეს. კუთვნილების ისტორიული ნიშნის მიხედვით, რომაელები ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ, საკუთრების უფლების შეძენის საშუალებებს ცივილური სამართლით და ხალხთა სამართლით.

#### **6. *Leges duodecim tabularum* (XII ტაბულის კანონები).**

პლებსის დაჟინებული მთხოვნით ქრ.შ-მდე 451 წელს შეიქმნა საკანონმდებლო კომისია, რომლის მიზანიც იყო სამართლის ნორმების მოწესრიგება და მათში სიცოცხლის შეტანა. ეს კომისია შედგებოდა 10 ყველაზე გავლენიანი რომაელისაგან. XII დაფის კანონები უზრუნველყოფდნენ სამართლის სიზუსტესა და სიცხადეს. მათი დანიშნულება იყო მოქალაქეთა და მმართველთა თვითნებობის აღკვეთა. ამ კანონთა გამოცემა რექსთა საქმიანობის დასრულებას დაუკავშირდა და დაიწყო რესპუბლიკის პერიოდი.

I-II-III დაფები აწესრიგებდნენ სამოქალაქო პროცესს, პირთა სტატუსებს, უფლებას და ქმედუნარიანობის საკითხებს.

IV-V დაფები განიხილავდნენ საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლის საკითხებს, მამის ხელისუფლებას საფუძვლებს.

VI-VII დაფები-სისიხლის სამართლებრივ ურთიერთობებს, დანაშაულისა და სასჯელის დადგენის საფუძვლებს.

X დაფა ეხებოდა საკრალური რიტუალების მოწესრიგებას.

XI-XII დაფებში შევიდა პირველი ათი დაფისთვის გათვალისწინებული ცვლილება დამატებები.

XII დაფის კანონების გამოცემით კარდინალურად შეიცვალა ვითარება, ეს აქტი სამართლის ნორმატიულ სისტემასა და პოზიტიური სამართლის გარკვეულობას შორის მიღწეული ერთიანობის სიმბოლო იყო, იკრძალებოდა ისეთი მოქმედება, რომელიც კანონის გვერდის ავლით ხდებოდა. XII დაფის კანონთა მიღების შემდეგ გაუქმდა პატრიცებსა და პლებებს შორის ქორწინების აკრძალვა, კრედიტორს აკრძალა თვითნებურად პირადად გასწორებოდა ვალაუვალ მოვალეს, მიიღო მევახშეობის შემზღვეველი კანონები, ასევე განავითარა საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი.

## **7. Colonus წარმოშობისა და შეწყვეტის გზები.**

III საუკუნეში, ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების პირობებში, დამოკიდებული მოსახლეობის განსაკუთრებული კატეგორია – მიწაზე მიმაგრებული გლეხობა – წარმოიშვა. თავდაპირველად, მიწაზე მიმაგრების პროცესი მხოლოდ იმპერატორის მიწაზე მონების, გააზატებულებისა და მოიჯარეთა შრომის გამოყენებას ითვალისწინებდა; ხოლო შემდგომ მიწაზე მიმაგრებას მასიური ხასიათი მიეცა. კოლონის ქონების გასხვისება მემამულის თანხმობის გარეშე დაუშვებელი იყო. იმპერიის აღმოსვლეთ ნაწილში კოლონებს, საგადასახადო რეესტრში მიწასთან ერთად აღნუსხავდნენ. V საუკუნის II ნახევარში გამწვავებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში, კოლონების ამ კატეგორიის მდგომარეობა, პრაქტიკულად მონობისაგან არ განსხვავდებოდა. კოლონს იკრძალებოდა მამულის მესაკუთრის თანხმობის გარეშე მიწის ნაკვეთის მიტოვება, მესაკუთრეს კი ამ მიწებიდან კოლონების განდევნა; მესაკუთრეს მხოლოდ კოლონების ერთი მამულიდან მეორეში გადაყვანის უფლება ჰქონდა.

კოლონსა და მამულის მესაკუთრეს შორის ურთიერთობები ქირავნობის ხელშეკრულებით ან საიჯარო ხელშეკრულებით) წესრიგდებოდა. თუ მათ შორის დადებული ხელშეკრულების პირობები საგადასახადო რეესტრში იყო გატარებული, ამ ურთიერთობების თვითნებური, ან თუნდაც,



ურთიერთშეთანხმებითი მოშლა, მხარეებს არ შეეძლოთ. მესაკუთრის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევა სასამართლო წესით ისჯებოდა, ვინაიდან სასამართლო პროცესზე კოლონი დამოუკიდებელ მხარედ გამოდიოდა. კოლონის მდგომარეობა მემკვიდრეობითი იყო.

კოლონატის წარმოშობის საფუძვლები იყო: 1. თუ ერთ-ერთი მშობელი კოლონი იყო, ბავშვი დედის მდგომარეობას იღებდა; 2. თუ პირი 30 წლის განმავლობაში კოლონი იყო, ხანდაზმულობის ვადის ძალით, იგი მიწაზე მიმარგებას ექვემდებარებოდა. კოლონატის შეწყვეტის პირობები იყო: 1.მემამულეს კოლონისადმი საკუთარ უფლებაზე უარის თქმა, მხოლოდ მიწაზე უარით შეეძლო. ეს იყო კოლონატის ურთიერთობის შეწყვეტის მთავარი პირობა; 2. თუ კოლონი, 30 წლის განმავლობაში, თავისუფალი პირის სტატუსით ცხოვრობდა, მისი განთავისუფლება ხანდაზმულობით ხდებოდა; 3. თუ კოლონი 30 წლის განმავლობაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს წევრი – დეკურიონი – იყო, კოლონატი წყდებოდა;

#### **8. Dos სახეები და დადგენის გზები.**

მზითევი – ქორწინების შემთხვევაში ქმრისათვის გადაცემული როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება – ჩუქება არ იყო და ამიტომ მასზე ჩუქების წესები არ ვრცელდებოდა. მზითევი ეს არის ქონება, რომელიც, საოჯახო ხარჯების შემსუბუქების მიზნით, ქმარს ცოლის ან მესამე პირის მიერ გადაეცემოდა.

თავდაპირველად, ცოლი იურიდიულად ხელისუფლებას დაქვემდებარებული პირი იყო და ამდენად, მას ქონების განკარგვის უფლება არ ჰქონდა; ამიტომ ცოლის მზითევი ქმრის საკუთრებაში გადადიოდა და მის ქონებას ერწყმოდა. ქმრის უფლება მზითევზე იმდენად დიდი იყო, რომ მზითევის დაბრუნება ქმარს არავითარ, თუნდაც განქორწინების შემთხვევაში არ ევალებოდა. თუ ქორწინება წყდებოდა ქმრის გარდაცვალებით, ცოლი შვილების მსგავსად იღებდა მემკვიდრეობას, რითაც მას მზითევი უნაზღაურდებოდა.

რომში სამზითვო საგანი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი რამ, რასაც ქონებრივი ღირებულება გააჩნდა, ანუ ეს იყო როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე; კერძოდ, მანციპირებული თუ ამანციპირებული,

სხეულებრივი თუ უსხეულო, მოძრავი თუ უძრავი ნივთი. მაგალითად, მიწა, ფული, პირუტყვი, მონა და სხვა. ქმრისათვის მზითევად ასევე შეიძლება სერვიტუტის, ემფითევისისა და სუპერფიციუმის გადაცემა.

დიგესტების თანახმად, მზითევის დადგენის რამდენიმე საშუალება არსებობდა: *dotis promissio*, *dotis dictio* და *dotis datio*. *dotis promissio* სტიპულაციური ფორმით ქმრისათვის მზითევის დაპირებაა. *dotis dictio* ეს იყო ცალმხრივი სიტყვიერი ვალდებულების განსაკუთრებული ფორმა რომლითაც განმცხადებელი საქმროს წინაშე კისრულობდა ვალდებულებას. *dotis datio* – რეალური შეთანხმება იყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მზითევად გაღებული შეცვლადი ნივთები განქორწინების შემთხვევაში თანაბარი ოდენობითა და სათანადო ხარისხით დაბრუნებას ექვემდებარებოდა.

## 9. რომის სამართლის ისტორიული სისტემები.

ძველი რომის სამართლებრივ სისტემა შეისწავლის ძველი რომაელებისა და რომში მცხოვრებ უცხოელებს შორის სამართლებრივი ურთიერთობებს.

*Ius civile* -ცივილური სამართალი. უძველეს რომაულ სამართალს, ერთ-ერთი მკვიდრი ტომის კვირიტების სახელწოდების მიხედვით, კვირიტული სამართალი ეწოდებოდა და იმ შემთხვევებში გამოიყენებოდა, როდესაც საქმე ნივთზე საკუთრების უფლებას ეხებოდა. მოგვიანებით, სამართლის ამ სისტემას ცივილური სამართალი ეწოდა, რითაც ხაზი გაესვა რომის მოქალაქეთა სამართლის მკაცრად ეროვნულ ხასიათს. საკანონმდებლო დონეზე ცივილური სამართალი კერძო სამართლის ვიწრო ეროვნული სისტემა რეგულირდებოდა; ფართო გაგებით კი, ცივილური სამართალი ყველა კომენტარს მოიცავდა, რომელიც რომაელმა იურისტებმა, XII დაფის კანონთა სისტემასთან ერთად, შექმნეს.ცივილური სამართალი მხოლოდ რომის მოქალაქეების მიმართ გამოიყენებოდა. *Ius praetorium*-პრეტორული სამართალი ცდილობდა იმ ხარვეზების აღმოფხვრას,რომელიც მონათმფლობერული სისტემისა და ეკონომიკური განვითარების შედეგად წარმოიშვა. *ius gentium* -ხალხის სამართალი.ის პირები, რომლებიც რომაულ თემს არ განეკუთვნებოდნენ,

მტრებად ითვლებოდნენ და სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარებოდნენ. წარმოებისა და სასაქონლო გაცვლა-გამოცვლის განვითარების გამო, უცხოელების ძირითადი კერძო უფლებების აღიარება და დაცვა სავალდებულო გახდა, რის საფუძველზე სამართლის ახალი სისტემა, ხალხის სამართალი შეიქმნა. ხალხის სამართლის მეშვეობით, იმპერიის სხვადასხვა ნაწილში მოქმედი სავაჭრო ინსტიტუტები ერთიანი სამართლებრივი სისტემაში მოაქცია.

*Ius naturale*-ბუნებითი სამართალი. სამართალი ბუნების მიერ დადგენილ უცვლელ ზნეობასა და კანონს ემყარებოდა. ულპიანეს აზრით, ხშირ შემთხვევაში, კერძო საკუთრების უფლებაც ბუნებით სამართალს ეფუძნებოდა. ულპიანეს თანახმად, ბუნებითი სამართლის მოთხოვნა, ზოგადად, სიცოცხლეზე ვრცელდებოდა, ხოლო ხალხის სამართლის მოქმედების არეალი მხოლოდ ადამიანებით იფარგლებოდა. ხალხის სამართალი ვრცელდება მთელ კაცობრიობაზე. ამდენად, იოლი გასაგებია, რომ იგი განსხვავდება ბუნებითი სამართლისაგან, რომელიც ყველა სულიერზე ვრცელდება, ხალხის სამართალი კი მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობებს მოიცავს.

სამართალი იყოფა კერძო (*ius private*) და საჯარო (*ius publica*) სამართლად. თუ საქმე ეხებოდა ცალკეულ ინდივიდუალურ თუ საოჯახო ინტერესებს, მაშინ სახეზე იყო კერძო ურთიერთობები და მათ კერძო კანონი განსაზღვრავდა. როდესაც საკითხი რომელი ხალხის, კვირიტების, საერთო ინტერესებს ეხებოდა, მაშინ ამ ურთიერთობების, ანუ საჯარო ინტერესების, ნორმატიულ საფუძველს მთელი ხალხის ფორმალიზებული ნება – საჯარო კანონი წარმოადგენდა.

## **10. Servi სამართლებრივი სტატუსი. მონობის წყაროები და Manumissio წესები.**

თავისუფალი მდგომარეობის საპირისპირო იყო მონობა. ხალხის სამართლის მიხედვით, მონობა არის ისეთი რამ, როდესაც ბუნების საპირისპიროდ, ერთი პირი მეორე პირის ბატონობას მორჩილებს. მონებად ან იბადებიან, ან შემდეგ ხდებიან. მონებად იბადებიან ჩვენს მხევალთაგან შობილნი. ტყვედ ჩავარდნილნი მონებად ხდებიან ხალხის სამართლით, ან ცივილური სამართლით იმ

შემთხვევაში, თუ ოც წელს გადაცილებულმა თავისუფალმა ადამიანმა, გასაყიდი ფასის გარკვეული ნაწილის მიღების მიზნით, საკუთარი თავის მონად გაყიდვას დათანხმდა. რომის სამართალით, მონა ნივთად ითვლებოდა. კანონიერი ქორწინება მონა ქალთან დაუშვებელი იყო. ამიტომ მისგან შობილი ბავშვი მონის სტატუსს იღებდა, ანუ ბავშვი მონად იბადებოდა. თუ ბავშვის ჩასახვის დროს ან ორსულობის პერიოდში, დედა მცირე ხნით თავისუფალი იყო, ბავშვი თავისუფალ მოქალაქედ იბადებოდა.

რომში მონად ქცევის სხვა ცივილური წესებიც არსებობდა: 1. სიკვდილით დასჯის ან კატორღული სამუშაოების შესრულების სასჯელი მონად გაყიდვით იცვლებოდა. 2. მონა ხდებოდა ის მოქალაქეც, რომელიც ვერ გაივლიდა პერიოდული ქონებრივ ცენზს ან რომელიც სამხედრო სამსახურს თაღლითურად აარიდებდა თავს.

თუ მონა, განიზრახავდა ქურდობას და მას დანაშაულის ადგილზე დააკავებდნენ XII დაფის კანონების თანახმად, მას ჯერ როზგავდნენ შემდეგ კი ტარპეუსის კლდიდან აგდებდნენ. მონისათვის სხეულებრივი ზიანის მიყენება მისი ბატონის სასარგებლოდ ჯარიმის გადახდით ისჯებოდა. მონისათვის განსაზღვრულ ჯარიმის ოდენობა, თავისუფალი ადამიანისათვის დადგენილ ჯარიმაზე, ორჯერ მეტი იყო.

მონის გააზატების 4 გზა არსებობდა:

1. *manumissio vindicta* -თავისუფლების სტატუსის თაობაზე ფიქტიური სასამართლო პროცესი, რომელშიც მონის ბატონი მონაწილეობდა, აღნიშნული სასამართლო მონის გააზატებთ მთავრდებოდა. 2. *manumissio censu* -მონის შეყვანა საცენზო სიებში, რომელსაც 5წელიწადში ერთხელ ადგენდნენ. 3. *manumissio testamento* მონის გააზატება ანდერძის საფუძველზე რომელიც თავდაპირველად კომიციებში მტკიცდებოდა ან ბრძოლისათვის მზადყოფი ჯარის წინაშე წარმოითქმებოდა. 4. *manumissio inter amicos* -გააზატება მეგობრების წრეში, მეგობრების როლი, მხოლოდ ფაქტის მარტივი დადასტურება-დამოწმებით როდი იფარგლებოდა; მებატონის ნების შესრულების გარანტიასა და გააზატებულის პირადი სტატუსის განსაზღვრის უზრუნველყოფას ისინი საკუთარ თავზე იღებდნენ.

## 11. Magistratus სახეები, ნიშნები და კომპეტენცია რესპუბლიკური რომის სახელმწიფო მექანიზმში.

რესპუბლიკური მაგისტრატურის ძირითადი ნიშნებია: 1. არჩევითობა; 2. კოლეგიალობა; 3. თანამდებობაზე ყოფნის ერთწლიანი ვადა; 4. უსასყიდლობა; 5. ანგარიშვალდებულება. მაგისტრატები კომიციებში ერთწლიანი ვადით და კოლეგიალობის პრინციპით აირჩეოდნენ; მათ ჰქონდათ თანაბარი უფლებამოსილებანი, ასევე კოლეგის გადაწყვეტილებაზე ვეტო-ს დადების უფლება. ეს თანამდებობა უსასყიდლო იყო. მაგისტრატურები იყოფადა ორ სახეობად: ჩვეულებრივი (ორდინალური) და განსაკუთრებული (ექსტრაორდინალური). თავის მხრივ, ჩვეულებრივი მაგისტრატურა მუდმივმოქმედ და გარკვეული შესვენებების შემდეგ ამოქმედებულ ორგანოებად იყოფოდა. მუდმივმოქმედი მაგისტრატურებია: 1.კონსულატი; 2.პრეტურა; 3.კვესტურა; 4.ედილიტეტი; 5.პლემბსის ტრიბუნატი; 6.ცენზურა. ექსტრაორდინალური მაგისტრატურა დიქტატორის ინსტიტუტი იყო.

საგანგებო ვითარების დროს კონსულები ნიშნავდნენ დიქტატორს, რომლის უფლებამოსილება მხოლოდ ექვსი თვით განისაზღვრებოდა, დიქტატურის დროს მოქალაქეთა ყველა უფლება შეჩერებული იყო. ერთი და იმავე პირი იმავე ან სხვა თანამდებობაზე ხელმეორედ მხოლოდ ორი წლის შემდეგ აირჩეოდა. ამავე კანონით, განისაზღვრა მაგისტრატობის შემდეგი იერარქია: კვესტურა, ედილიტეტი, პრეტურა, კონსულატი; ცენზორად და დიქტატორად მხოლოდ ყოფილი კონსული დაიშვებოდა. მუდმივმოქმედი მაგისტრატურები: 1. კონსულატი. რომში ერთი წლის ვადით არჩეული ორი კონსული იყო. მათი თანამდებობაზე ყოფნის ერთ წელს მათივე სახელი ეწოდებოდა. კონსულები ახორციელებდნენ იმპერიუმ-ს, ანუ უზენაეს სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებას. დამნაშავესთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის უფლება მხოლოდ კონსულს ენიჭებოდა. 2. პრეტურა. პრეტორი უზენაესი ხელისუფლებით აღჭურვილი მაგისტრატი და კონსულის უმცროსი თანაშემწე იყო. მასვე ენიჭებოდა მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციაც. გარდა ქალაქის

პრეტორის თანამდებობის არსებობდა უცხოელების პრეტორის თანამდებობაც. Praetor peregrinus რომის მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის სასამართლო დავებს განიხილავდა. 3. კვესტურა. კვესტორი იყო კონსულის თანაშემწე, რომელსაც, უმთავრესად, სახელმწიფო დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნა და დანაშაულის გამოძიება ევალებოდა. გარდა ამისა, კვესტორებს, დანაშაულებრივი ხელყოფისგან სახელმწიფო ხაზინისა და სხვა სახის საზოგადოებრივი ქონების დაცვაც ევალებოდათ. 4. ედილიტეტი. თავდაპირველად, ედილები პლებსის ღვთაებათა კულტს ზედამხედველობდნენ. მოგვიანებით, მათ რომში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ქალაქის ხორბლითა და სარჩო-სანოვაგით მოწესრიგება და თამაშების ორგანიზება დაევალებათ. 5. პლებსის ტრიბუნატი. თავდაპირველად, პლებსის ტრიბუნები, პატრიციების წინააღმდეგ სოციალური თანასწორობისთვის ბრძოლაში, პლებების “რევოლუციური” ბელადები იყვნენ. პატრიციატი იძულებული გახდა, მაგისტრატების მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, პლებსის ტრიბუნის ვეტოსა და მოქალაქეთა დაცვის, ასევე სენატისა და პლებსის კრებების მოწვევის უფლებაც ელიარებინა. 6. ცენზურა ორდინალური, მაგრამ არა პერმანენტული მაგისტრატურა იყო. ყოფილი კონსულები 18 თვის ვადით აირჩეოდნენ ცენზორებად, რომელთა მოვალეობაც ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, ქონებრივი ცენზის მიხედვით, მოქალაქეების აღწერა და მათი სათანადო კატეგორიებში განწესება გახლდათ. ცენზორი აკომპლექტებდა სენატს, ზედამხედველობდა მოქალაქეთა ზნეობას.

## 12. Senatusconsultum.

სენატის გადაწყვეტილებები ხალხის მონაწილეობის გარეშე მიიღებოდა. გაიუსი Senatusconsultum–ს ასე განმარტავს: „სენატის დადგენილება არის ის, რაც სენატმა ბრძანა და დააგინა; მას აქვს კანონის ძალა, თუმცა, ამის შესახებ ბევრს დავობენ.“ ქრ. შ. II საუკუნემდე სენატის გადაწყვეტილებებს კანონის ძალა არ გააჩნდა, ამიტომ ius civile-ს შექმნაში უშუალო მონაწილეობას ვერ იღებდა.

სენატს ჰქონდა ორი მასაძლებლობა: ნორმატიულ ვითარებაზე შუალობითი

გავლენის მოსახდენად, სასურველი კანონის მიღება დაევალებინა მაგისტრატისთვის, ან პრეტორისგან – ედიქტში ცვლილებების შეტანა. ზოგჯერ სენატი მაგისტრატისგან სისხლის სამართლის განსაკუთრებული სასამართლოს შექმნას ითხოვდა. ამგვარი დაწესებულება მუდმივმოქმედი ვერ იქნებოდა. მისი შექმნა კანონის მიღებას საჭიროებდა, ხოლო სენატუსკონსულტს კანონის ძალა არ გააჩნდა. ამდენად, მოქალაქეს ხალხისთვის აპელაციით მიმართვის უფლება ყოველთვის ჰქონდა. ქრ. შ.–მდე II საუკუნეში ძველ რომში სერიოზული პოლიტიკური და სამართლებრივი კრიზისი წარმოიშვა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ სენატმა მსგავსი საგანგებო სასამართლო გადაწყვეტილებების შეზღუდვის თავიდან აცილება მოისურვა. პრინციპატის პერიოდში, კომიციების როლის დაცემის შედეგად, სენატის ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო იმპერატორის ხელში სენატუსკონსულტი პრეტორის ედიქტზე ზემოქმედების მძლავრი იარაღი შეიქმნა. მართალია, ქრ. შ. I საუკუნეში სენატუსკონსულტს, *ius civile*-სთან მიმართებით, კანონის ძალა ჯერ კიდევ არ გააჩნდა და მხოლოდ პრეტორული სამართლის ჩამოყალიბებაზე ახდენდა გავლენას, ქრ. შ. II საუკუნიდან მისი როლი იმდენად გაიზარდა, რომ ცივილური სამართლის ტოლფასი შედეგი მიიღო, რაც კანონთან მის გათანაბრებაზე მეტყველებდა.

### **13. Peregrinus სამართლებრივი სტატუსი.**

XII დაფის კანონებით უკვე იყო გათვალისწინებული რამდენიმე სახეობის იურიდიული აქტი, რომელთა გაფორმება დასაშვები იყო უცხოელთა იმ კატეგორიასთან, რომელიც რომაელ ხალხთან მეგობრობის ხელშეკრულებას დებდა. მათვე ენიჭებოდათ სასამართლო განხილვებში მონაწილეობის მიღების უფლება. თანდათანობით, მათი სტატუსის შესაბამისად, შემუშავებული იქნა უცხოელების ზოგადი კლასიფიკაცია. რომის მოქალაქეებთან ყველაზე მეტი სიახლოვით უძველესი ლათინები, ლაციუმის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქების მოქალაქეები, გამოირჩეოდნენ. ლათინებს რომაელებთან *ius civile* -თი გარიგებების დადება, რომის ტერიტორიაზე დასახლება, რომის მოქალაქედ გახდომა და რომაელებთან კანონიერ ქორწინებაში შესვლა შეეძლოთ. ქრ. შობამდე

II საუკუნიდან, რომის რესპუბლიკის პერიოდში, დაპყრობილ მიწებზე რომაელებმა კოლონიები შექმნეს, ხოლო კოლონისტებს ლათინი მოქალაქეების სტატუსი მიანიჭეს. აღნიშნული ვითარების შედეგად, ლათინური ქალაქებისა და კოლონიების პოლიტიკურმა ელიტამ ორმოქალაქეობა მიიღო. თუ ლათინი რომის მოქალაქეზე იქორწინებდა, ადრიანეს დროს მიღებული სენატუსკონლუსტით, ამ ქორწინების შედეგად შობილი ბავშვი რომის მოქალაქე ხდებოდა. არსებობდნენ ასევე *latini iuniane*, რომლებიც არც *ius conubii*-ით და არც აქტიური ან პასიური ანდერძის დატოვების ან ანდერძით ქონების მიღების უფლებას არ ფლობდნენ. 212 წელს იმპერატორ კარაკალას ედიქტის მიღების შემდეგ, პირთა სტატუსის თვალსაზრისით, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. აღნიშნული ედიქტით, იმპერიის მთელ მოსახლეობას რომის მოქალაქეობა მიენიჭა.

#### **14. არქაული პერიოდის რომის სამართლის წყაროების მოკლე და ზოგადი დახასიათება.**

როგორც ვიცით, რომში არქაული ხანა ქრისტეს შობამდე 753-367 წლებში იყო. ამ პერიოდის რომის სამართლის ერთ-ერთ წყაროს ჩვეულებითი სამართალი წარმოადგენდა. სამოქალაქო ბრუნვაში მუდმივად გამოყენებულ სამართლის ნორმას, რომელიც ხალხის რწმენას ეფუძნება ჩვეულებითი სამართალი ეწოდება. ჩვეულებითი სამართალი სამართლის ის სახეა, რომელსაც ადამიანების გონივრული ქცევის წესად მიიჩნევენ. როგორც სამართლებრივი სისტემა ის 3 ძირითად პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: 1) გარკვეული წესის ხანგრძლივად, უწყვეტად, მოქმედება და მისი დაცვა; 2) ხალხის სამართლებრივი მრწამსი; 3) არსებული კანონის შევსება და არა მასთან წინააღმდეგობაში მოსვლა. ძველ რომში ლეგეს ანუ დაწერილი კანონებიც წარმოადგენდა სამართლის წყაროს. ძველი რომაელები მიიჩნევდნენ პოზიტიური სამართლის ყველაზე სრულყოფილი ფორმის კრიტერიუმად. კანონის ტექსტის ჩამოყალიბება სპეციალისტების მიერ ხდებოდა და მათი მიღება შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს კომპეტენციაში შედიოდა. კიდევ ერთი სამართლის წყარო იყო პლებისციტები ანუ სახალხო კრების მიერ მიღებული



გადაწყვეტილებები. ისინი სავალდებულო იყო თავდაპირველად მხოლოდ პლებსებისთვის. მოგვიანებით ჰორტენზიუსის კანონით ის კანონებს გაუთანაბრეს და საყოველთაო სავალდებულოება შეიძინა. სარჩელი, როგორც სამართლის წყარო ცნობილი იყო რომის სამართლისთვის. ძველი სასამართლო პროცესის მონაწილენი იძულებულები იყვნენ ზუსტად დაეცვათ სარჩელით ფიქსირებული სიტყვები. თავად სასამართლოც შებოჭილი იყო ამავე კანონით. ძველ რომის სამართალში იურისტთა მოღვაწეობა იყო სამართლის წყარო. არაერთი რომაელი ავტორიტეტული პირის თანახმად, სამართლის მცოდნე პირთა გარეშე სამართალი ვერ იარსებებდა, ხოლო მათი მეშვეობით ის მუდმივი სრულყოფის საგანი გახდებოდა. სამართალმცოდნეების პროფესიული საქმიანობა სამი ძირითადი მიმართულებით ხორციელდებოდა: ხორციელდებოდა: *cavere* (სარჩელების, გარიგებების შედგენა), *agere* (სასამართლოში საქმის წარმოება) *respondere* (პასუხების გაცემა). რომაელ სამართალმცოდნეთა საქმიანობაც სამართლის წყაროს წარმოადგენდა (მაგალითად, გაიუსი, იუსტინიანე I, მოდესტინუსი, მარცელუსი და ა.შ.). რომის სამართალი სხვა შინაარსის წყაროებსაც იცნობდა არქაულ ხანაში, ესენია: სასამართლო პრეცედენტი, სენატუსკონსულტი, მაგისტრატების ედიქტები და იმპერატორთა კონსტიტუციები.

### **15. Sponsalia-ს დადების წესი და ნამდვილობის პირობები.**

ტრადიციულად, ქორწინებამდე იმართებოდა ნიშნობა. ფლორენტინუსის თანახმად, ნიშნობა არის მომავალი ქორწინების დათქმა და ორმხრივი დაპირება. თავდაპირველად, ნიშნობა თითოეული დასაქორწინებელი პირის ოჯახის უფროსების შეთანხმებით ხდებოდა, მოგვიანებით კი, თავად მექორწინეთა თანხმობით. კანონმდებლობა უშვებდა ერთ გამონაკლისს, როცა ქალიშვილის შეემლო არ დამორჩილებოდა მამის გადაწყვეტილებას. მამის შეწინააღმდეგება ქალიშვილს მხოლოდ მაშინ ეძლევა, როდესაც მამა მას უღირსი ზნის ან სახელგატეხილ საქმროს აურჩევს. ნიშნობის დროს საქმროს მხარე საპატარძლოს მხარეს ნიშნობის ბეჭედს (პატრიციები – ოქროს, სხვა სოციალური ფენის წევრები

შედარებით დაბალი ხარისხის ლითონის, ხოლო მონებს რკინის ბეჭედს) და სხვადასხვა სახის მოძრავ ნივთს გადასცემდა.

## 16. *Edicta magistratum.*

უმაღლესი სამხედრო და საჯარო ხელისუფლების მქონე რომაელ მაგისტრატებს *imperium*-ისა და *iurisdictio*-ს განხორციელება ედიქტის სახით შეეძლოთ. ქრ. შ.–მდე 242 წ. მართლმსაჯულების განხორციელების უფლება ქ. რომის მმართველობაზე პასუხისმგებელ პრეტორსა და პერეგრინების პრეტორს მიენიჭათ. *Ius dicere* იყო სამოქალაქო სასამართლო განხილვის პირველი სტადია, რომლის დროსაც საქმის არსი დგინდებოდა და შესაბამისი პროცესუალური საშუალებები განისაზღვრებოდა. საკუთარი უფლების საფუძველზე, პრეტორი მოსამართლეს იმ საფუძველს უთითებდა, რომლის თანახმადაც ამ უკანასკნელს გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა. პრეტორის გადაწყვეტილება განისაზღვრებოდა ცივილური სამართლის იმ ნორმებით, რომლებიც ემსახურებოდა ამა თუ იმ ურთიერთობას, თუმცა, საკუთარი იმპერიუმის საფუძველზე, მას შეეძლო გაეთვალისწინებინა დაცვის სპეციფიკური საშუალებები და, ასეთ შემთხვევაში, მოეხდინა საქმის დამოუკიდებელი განხილვა. მსგავსი ექსტრაორდინალური პროცესები ხელს უწყობდა სამართლის სისტემის განვითარებას, ვინაიდან შესაძლებლობას იძლეოდნენ დაეცვათ და, მაშასადამე, ოფიციალურ დონეზე ელიარებინათ, *Ius Civile*-თი გაუთვალისწინებელი ურთიერთობები. პრეტორების გარდა, რომლებიც აღჭურვეს ზოგადი იურისდიქციითი, სპეციალური იურისდიქცია მიენიჭათ *Curulis Edil*-ებს – მაგისტრატებს, რომლებიც ქალაქ რომში წესრიგის დაცვაზე იყვნენ პასუხისმგებელნი, განსაკუთრებით ბაზრებში (*Cura Urbis*). საკუთარი ოფფიციუმის ფარგლებში ედილიც ფლობდა *Ius Edicendi* და გამოსცემდა ედიქტებს (*Edicta*). ედიქტები გამოიცემოდა არა მარტო მართლმსაჯულების, არამედ კერძო სამართლის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, განსაკუთრებით კი *Edicta Iurisditionis*. მაგისტრატების ედიქტებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს ქრ.შ-მდე II საუკუნეში, როცა გამოიცა

Lex Aebutia, რითაც დამკვიდრდა Per Formulas – ახალი სახის პროცესი, რომელიც Legis Actione-ს პროცესთან ერთად მოქმედებდა. ამის შემდეგ, პრეტორსაც შეეძლო დაეცვა Ius Civile მიერ გაუთვალისწინებელი ურთიერთობებიც და ამისთვის ის იყენებდა არა ექსტრაორდინალურ, არამედ ჩვეულებრივ სამოქალაქოსამართლებრივ საშუალებებს. ქრ.შ-მდე 17 წ. ლეგის აქციონეს პროცესის გაუქმებამ მაგისტრატების ედიქტს მიაჭნია თითქმის მონოპოლური მდგომარეობა სამოქალაქო პროცესუალური საშუალებების შექმნის მხრივ. ასე ჩამოყალიბდა ახალი განსაკუთრებული ნორმატიული სისტემა – მაგისტრატების ანუ პრეტორული სამართალი. თავდაპირველად, ედიქტების შესრულება პრეტორების მხრიდან დამოკიდებული იყო მათ ტრადიციულ წარმოდგენაზე ღირსების შესახებ. პრეტორს შეეძლო უარი ეთქვა სარჩელზე, მიუხედავად იმისა, რომ სარჩელი გამოცხადებული იყო მის ედიქტში, და ერთი წლის განმავლობაში გამოეცა ახალი ედიქტი, რომლის შინაარსი ეწინააღმდეგებოდა მის მიერ თანამდებობაზე დანიშვნის დროს გამოცემულ ედიქტს; მსგავსი, ერთჯერადი ხასიათის ე.წ. ნაჩქარევი ედიქტისაგან (Edicta Repentinas) განსხვავებით, ის ედიქტი, რომელიც გამოიცემოდა წლის დასაწყისში და ინარჩუნებდა ძალას პრეტორის მიერ თანამდებობაზე ყოფნის მთელს პერიოდში, იწოდებოდა Edictum Perpetuum–ად. ქრ.შ-მდე 67 წ. პლემბსის ტრიბუნის – კორნელიუსის მიერ გამოცემული კანონის ძალით, პრეტორს Edictum Perpetuum-ის გარდა, სხვა აქტებით მართლმსახულების განხორციელება ეკრძალებოდა. Edicta Repentinas აღმოფხვრამ მართლმსაჯულების სფეროში ვერ მოახდინა გავლენა პრეტორის მიერ ცალკეულ შემთხვევებში არაორდინალური გადაწყვეტილებების – Decretum – მიღებაზე. თანაც, პრეტორს არ შეეძლო შეწინააღმდეგებოდა ედიქტს ან კანონს, არამედ ემოქმედა მხოლოდ დადგენილი სამართლის ფარგლებს გარეთ, და Bonum et aequum-ის ძირითადი პრინციპები ახალ ურთიერთობებზე გაეზრცელებინა. ქრ.შ-ის II საუკუნეში, როცა Senatus Consulta-მ კანონის ძალა შეიძინა და საგრძნობლად გააქტიურდა იმპერატორის კანცელარია, კერძო სამართლის განვითარება Ius Civile ფარგლებში წარიმართა და ედიქტი არსებითად დაკონსერვდა. მსგავსმა ვითარებამ გამოიწვია ლოგიკური შედეგი, რომელიც

გულისხმობდა იმპერატორ ადრიანეს ინიციატივას და რომლის მიზანი იყო პრეტორული სამართლის საბოლოო სისტემატიზაცია. 131 წ. იმპერატორმა მის ქვესტორებს – Salvius Iuliane-სა და Servius Kornelius-ს – პრეტორული ედიქტის საერთო რედაქცია დაავალა. ვინაიდან წასახული ამოცანის შესაბამისი ცოდნა გააჩნდა მხოლოდ იულიანეს, მანვე შეასრულა თითქმის მთელი სამუშაო. იულიანეს რედაქციით გამოცემულ ედიქტს ეწოდა “Edictum Perpetuum”, თუმცა, სრულებით ახალი მნიშვნელობით. ამიერიდან მაგისტრატებს შეეძლოთ მასში (კოდიფიცირებულ ტექსტში) მხოლოდ აუცილებელი ხასიათის დამატებების შეტანა. ამრიგად, პაპინიანეს აზრით, პრეტორული სამართალი არის ის, რაც ბრძანებს პრეტორებმა ცივილური სამართლის გაუმჯობესების, მასში დამატებების ან ცვლილებების შეტანის მიზნით, რათა მომხდარიყო ცივილური სამართლის საჯარო სარგებლიანობის ამაღლება.

#### **17. ნივთების მოკლე კლასიფიკაცია რომის სამართლის მიხედვით.**

გაიუსის თანახმად, ნივთები ძირითადად ორ კატეგორიად იყოფოდა: ღვთაებრივი სამართლის ნივთებად და ადამიანთა სამართლის ნივთებად. ის, რაც ღვთაებრივ სამართალს მიეკუთვნება, არ შეიძლება ვინმეს ქონებაში იმყოფებოდეს. ამიტომ ღვთაებრივი სამართლის ნივთების ორივე კატეგორია, წმინდა და სათაყვანებელი ნივთები, სამოქალაქო ბრუნვიდან იყო ამოღებული. რაც შეეხება ადამიანთა სამართლის ნივთებს, ისინიც ორ ჯგუფად, კერძო და საჯარო ნივთებად, იყოფოდა.

ბრუნვიდან ამოღებულ ნივთებს განეკუთვნებოდა: 1. ჰაერი, გამდინარე წყალი, ზღვა და მთელი სიმდიდრე; 2. საჯარო ნივთები; 3. საერთო საზოგადოებრივი გამოყენების ნივთები (გზები, მდინარეები); 4. საკულტო ნივთები. სხეულებრივი ნივთები (Res corporals) არის ისეთი ნივთები, რომლებიც შეიძლება ხელში ავიდოთ, ხელით შევხებით, ხოლო არასხეულებრივი (Res incorporales) რომლების არ შეიძლება ხელში ავიდოთ (უზუფრუქტი, ველდებულებანი). უძრავი ნივთები (Res immobiles) იყო არა მარტო მიწის ნაკვეთები და მიწის წიაღი, არამედ მიწის ზედაპირზე დაშვებული სხვისი ან მესაკუთრის შრომით შექმნილი სიკეთე. ეს სიკეთე ითვლებოდა მიწის ზედაპირის ხელოვნურ ან ბუნებრივ ნაწილად. მოძრავი ნივთებში (Res mobiles) შედიოდა

ავეჯი, საყოფაცხოვრებო საგნები, მონები, ცხოველები. პრინციპატის პერიოდში ნივთების ასეთმა დაყოფამ მიიღო უფრო ფართო, მკვეთრი სახე და ხასიათი. ამ დროისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა უძრავ ნივთებზე განსაკუთრებული უფლებები: სუპერფიციუმი, ემფითევისი. უძველესი რომაული სამართლით, ქონება გამიჯნული იყო ორ სახედ, familia და pecunia. Familia–თი ოჯახის უფროსის ხელისუფლებას დაქვემდებარებული ქონებრივი და არაქონებრივი სიკეთე მოიაზრებოდა. Pecunia–ს განეკუთვნებოდა ნივთთა ის კატეგორია, რომელიც სამართლებრივი აქტების ობიექტი იყო. Res mancipi et Res nec mancipi რომაული სამართლის უძველესი და უმთავრესი დაყოფა იმპერიის პერიოდამდე შენარჩუნდა. მანციპირებადი ნივთები იყო ტერიტორიაზე არარსებული მიწის ნაკვეთები როგორც სასოფლო მამული, ისე ქალაქო გადასარეკი ადგილები, წყლის მილი, მონები, ოთხფეხა მსხვილფეხა პირუტყვი. დანარჩენი არამანციპირებადი ნივთებია. გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნით ბერძენი იურისტების მაგალითების გაცნობამ ძველი რომაელი იურისტები მიიყვანა ნივთების გვარობითი და სახეობითი დაყოფის აუცილებლობამდე. რომაელები გვაროვნულ ნივთებს მიაკუთვნებდნენ იმ ნივთებს, რომლებსაც ჰქონდათ ერთი საერთო სახეობა და ბრუნვაში არ გააჩნდათ ინდივიდუალურობა. მათი გაცვლითი ღირებულება განისაზღვრებოდა მათი გვარობითი ნიშნით, საზომი ერთეულებით (სიგრძე, წონა, ზომა, რიცხვი). გვარობით ნივთებს უპირისპირდებოდნენ ინდივიდუალურ ნივთებს. თუ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი განადგურდებოდა, მაშინ პირს, რომელსაც ევალებოდა მისი ადგილამდე მიტანა, თავისუფლდებოდა შეცვლის მოვალეობისაგან. გაყოფადი და გაუყოფადი ნივთები – გაყოფადია ნივთები, რომლებიც გაყოფის შედეგად არ იცვლიან არც სახეობას, არც ფასეულობას, არც დანიშნულებას. ხოლო ნივთები, რომლებიც იცვლიან სახეობას, ფასეულობას ან დანიშნულებას გაყოფის შემდეგ, გაუყოფადი ნივთები ეწოდებოდა. გამოყენებადი და გამოუყენებელი ნივთები – გამოუყენებადი იყო ნივთი, რომელიც პირდაპირი დანიშნულებიდან გამომდინარე პირველივე მატერიალური გამოყენების შემდეგ ნადგურდებოდა. მაგალითად, ფული, ვინაიდან ანგარიშის გასწორების შემდეგ მესაკუთრისათვის ფული დაკარგულად

მიიჩნეოდა. გამოყენებადია ნივთი, რომელიც არ ნადგურდება გამოყენების შედეგად. მაგალითად, ძვირფასი ქვა; მარტივი და რთული ნივთები – მარტივია ნივთი, რომელიც ქმნის ერთიან ფიზიკურად დაკავშირებულ და ერთგაროვან მთლიანობას. მაგალითად, მონა, ქვა, მორი. რთულია ნივთი, რომელიც შედგება სხვადასხვა ხელოვნური შენაერთისაგან, რომლებიც ერთმანეთთან მატერიალურად არიან დაკავშირებულნი და საერთო სახელი აქვთ. მაგალითად, ნაგებობა, ხომალდი, ავჯი. ძირითადი და დამატებითი ნივთები – დამატებით ნივთად (*Res accessorium*) ითვლებოდა ისეთი ნივთი, რომელიც გარკვეული წესით იყო დამოკიდებული ძირითად ნივთზე და იურიდიულად მისგან დამოკიდებული იყო. დამატებითი ნივთის ყველაზე გავრცელებული სახეანაყოფი, ნივთის ნაწილი და საკუთვნივთი. საკუთვნივთი არის ისეთი ნივთი, რომელიც ძირითად ნივთთან დაკავშირებულია არა ფიზიკურად, არამედ ეკონომიკურადაც; ძირითადი ნივთი არ ითვლება დაუსრულებლად თუ მისგან განცალკევებულია საკუთვნივთი. საკუთვნივთს შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა, ოღონდ ორივეს ერთად გამოყენების შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ ეკონომიკური სამეურნეო შედეგი (კლიტე და გასაღები). ნაყოფი ბუნებრივი ნაყოფი იყო ნივთების ორგანული წარმოქმნები, რომლებსაც რეგულარულად მიიღებდნენ ნაყოფის მომცემი ნივთების ექსპლუატაციიდან, მათი სამეურნეო დანიშნულების შეცვლის გარეშე როგორც მცენარეებიდან, ისე საქონლიდან (მატყლი, რძე).

## 18. Furtum

Furtum ანუ ქურდობა იყო სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მიტაცება. ძველ რომში ამ ცნებაში თავმოყრილი იყო სამართალდარღვევათა ფართო წრე, რომლებიც დაკავშირებული იყო ქონებრივი ზიანის მიყენებასა, ან, სხვა პირის ხარჯზე, მართლსაწინააღმდეგო გამდიდრებასთან. თანდათანობით, მართლსაწინააღმდეგო ზარალის მიყენება ცნების ჩამოყალიბებით და აღნიშნული კანონის გამოყენების სფეროს გაფართოებასთან ერთად ფურტუმ მნიშვნელობა მკვეთრად შეიზღუდა, თუმცა მასში სხვისი ქონების ძალისმიერი მითვისების გარდა (მარცვა), ისეთი სახის ქმედებანიც შევიდა, როგორც იყო: 1. Furtum usus

(სარგებლობის უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება), როცა სესხის ან შესანახად გადაცემული ნივთის მიმღები, გადაამეტებდა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს, სხვისი ნივთით სარგებლობის ან მისი პერსონის მიმართ; 2. *Furtum possessionis* (მფლობელობის უფლების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა), როცა გიროს მიმცემი პირი, თვითნებურად დაეუფლებოდა გიროში მიცემულ ნივთს 3. *Furtum proprietatis* (საკუთრების უფლების მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა), როცა უზუფრუქტუარიუსი ნივთის სამეურნეო დანიშნულების შეცვლას ახდენდა.

ქურდობის შემადგენლობისათვის არსებითი პირობები იყო: 1) თვით ნივთის სასარგებლო თვისებების მითვისება, ნივთის მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ; 2) მისგან სარგებელის მიღება; 3) ქურდობა უნდა ყოფილიყო ჩადენილი მიზანმიმართულად. ამავე დროს მხოლოდ ჩამოთვლილი საფუძვლები არ იყო საკმარისი, საჭირო იყო სხვისი ნივთის დატაცების განხორციელება. უკვე XII დაფის კანონები ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ აშკარა ქურდობას, როცა ქურდი ნაქურდალით ხელში იქნებოდა დაკავებული (*Furtum manifestum*) და ფარულ ქურდობას – (*Furtum nec manifestum*). პირველ შემთხვევაში ქურდი გაიროზგებოდა და დაზარალებულის ხელისუფლებაში გადაეცემოდა ქურდი დაზარალებულის მონად ცხადდებოდა. ფარული ქურდობის შემთხვევაში, გათვალისწინებული იყო ჯარიმა ნაქურდალის ორმაგი ღირებულების ოდენობით. XII დაფის კანონები აშკარა ქურდობასთან ათანაბრებდნენ იმ მდგომარეობას, როცა ნაქურდალი ნივთი სარიტუალო ჩხრეკის დროს აღმოჩნდებოდა რაც ნაქურდალის გადამალვის შედეგად შეიძლება ყოფილიყო. ამ შემთხვევაში, XII დაფის კანონები ჯარიმის სამმაგ ოდენობას ითვალისწინებდნენ. ასევე ხდებოდა სარჩელის მინიჭება. აღნიშნულ სარჩელს ანიჭებდნენ გაქურდულ პირს, თანაც არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, იქნებოდა თუ არა ეს პირი ნივთის მესაკუთრე ან მფლობელი. ამავე დროს სარჩელი ენიჭებოდა ნივთის ხელშეუხებლად შენარჩუნებაში დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

## 19. *paterfamilias* ხელისუფლება: წარმოშობისა და შეწყვეტის გზები.

რომაული ოჯახის სათავეში იდგა ოჯახის უფროსი, მამასახლისი, რომელსაც რომაელები *paterfamilias* -ს უწოდებდნენ. მის დაქვემდებარებაში შედიოდა: ცოლი (რომელსაც ქალიშვილის მდგომარეობა ჰქონდა)ვაჟიშვილები და მათი ცოლები, რომლებიც ქმრის ხელისუფლებაში იყვნენ (ისინი შვილიშვილის სტატუსით სარგებლობდნენ), ქალიშვილები და მონები. თავდაპირველად, ოჯახის უფროსის უფლებამოსილება შეუზღუდავი იყო და ცოლზე, შვილებზე, მონებზე თუ ნივთებზე ერთნაირ ხელისუფლებას ახორციელებდა; დროთა განმავლობაში მამასახლისის ხელისუფლება დაიხვეწა და რამდენიმე ძირითადი სახე გამოიკვთა. 1. ხელისუფლება ცოლზე 2. ხელისუფლება შვილებზე 3. ხელისუფლება მონებზე. იმპერატორ იუსტინიანეს სამართლით მამასახლისის ხელისუფლება შეიზღუდა. როცა მისი, როგორც ოჯახის უფროსის უფლებამოსილება მხოლოდ მონებსა და მის ხელქვეით მყოფ შვილებზე ვრცელდებოდა. ოჯახის მამა ერთადერთი და შეუზღუდავი მესაკუთრე იყო იმ ქონებისა, რომელსაც ის და მისი ხელქვეითნი შრომით, მემკვიდრეობით ან რაიმე სხვა ხელსაყრელი შემთხვევის წყალობით იძენდნენ. ოჯახის უფროსი შეიძლება ყოფილიყო ოჯახის მამრობითი სქესის აღმავალი ხაზის ასაკით უხუცესი წევრი, რომლის გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟები, *paterfamiliae*-ს თავად ხდებოდნენ. მამის ხელისუფლების წარმოიშობოდა: 1. კანონიერ ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა ვაჟიშვილის ან ქალიშვილის დაბადებით; 2. დაკანონებით; 3. შვილებით. ოჯახის მამას უფლება ჰქონდა ახალშობილი შვილად არ ეღიარებინა. საერთოდ, ოჯახის წევრად და მამის ძალაუფლებაში მყოფ პირად მხოლოდ მამასახლისის მიერ აღიარებული შვილის ხდებოდა. დაქვემდებარებაში მყოფი პირები ოჯახის უფროსს შეეძლო ზარალის ანაზღაურების ან უბრალოდ, მუშა ხელის გაქირავების მიზნით, მესამე პირებისათვის მანციპაციით გადაეცა. მანციპაცია ვაჟიშვილის მიმართ სამჯერ გამოიყენებოდა, ქალიშვილის მიმართ მხოლოდ ერთხელ. კანონის თანახმად, ემანციპაციას ქონების დანაწევრება არ უნდა გამოეწვია, შესაბამისად, იგი მხოლოდ ერთ ვაჟიშვილზე ვრცელდებოდა. მამას შეეძლო უარი ეთქვა შვილების ემანციპაციოზე. ჩვეულებითი სამართლით, ვაჟიშვილის მიერ საკუთარი მეურნეობის შექმნა ამ ქალიშვილის გათხოვება მამის



ხელისუფლების შეწყვეტის ერთ-ერთი ფორმა იყო. ძველ რომში მამის ხელისუფლების შეწყვეტას შემდეგი საფუძვლები განაპირობებდა: 1. ოჯახის უფროსის გარდაცვალება. თუ მის ხელისუფლებაში შვილი და შვილიშვილი იყო, მაშინ მამის ხელისუფლება შვილთან და არა შვილიშვილთან მიმართებაში წყდებოდა; 2. დაქვემდებარებული შვილის გარდაცვალება; 3. მამის მიერ გარკვეული სახის დანაშაულის ჩადენა: ბავშვის მიგდება, უზნეო ცხოვრებისაკენ ქალიშვილის ბიძგება, სისხლისაღრევითი ქორწინების დადება; 4. ხელქვეითი პირის მიერ გარკვეული სასულიერო თუ საერო წოდების მიღება; 5. ემანციპაცია.

## **20. Servitutum სახეები, Servitutum praediorum rusticorum დადგენის წესი და პირობები.**

სერვიტუტი ეწოდებოდა სხვისი ნივთით სრული ან ნაწილობრივი სარგებლობის უფლებას, რომელიც უშუალოდ კონკრეტულ მიწის ნაკვეთს ან კონკრეტულ პირს უკავშირდებოდა, სარგებლის მიღების მიზნით. უძველესმა რომაულმა სამართალმა იცოდა მხოლოდ სასოფლო სერვიტუტები, რომლის დროსაც ერთი მიწის ნაკვეთისათვის მისი მესაკუთრის სასარგებლოდ მეორე მიწის ნაკვეთის დამორჩილება იყო გაბატონებული ნაკვეთის სამეურნეო სარგებლობის ეკონომიკური ანაზღაურების ფორმა. ასეთი სერვიტუტები წარმოიქმნენ მცირე და დანაწევრებული მიწათმფლობელობისაგან, როცა ცალკეული ნაკვეთები არ იყვნენ სამეურნეოდ დამოუკიდებელი. მათ არ შეეძლოთ მხოლოდ საკუთარი საშუალებებითა და რესურსებით დაეკმაყოფილებინათ გადაუდებელი სამეურნეო მოთხოვნილებანი თუ არ შექმნიდნენ მუდმივ კავშირსა და ურთიერთშევესებას ახლომდებარე ნაკვეთებთან. თავდაპირველად ამ გზით იურიდიულად კმაყოფილდებოდა მიწის ნაკვეთების სასოფლო-სამეურნეო გამოყენების ინტერესები. მათი სასოფლო-სამეურნეო მომსახურება დგინდებოდა სასოფლო ნაკვეთების სერვიტუტები - Servitutes praediorum rusticorum. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა მიწები ნაგებობების გარეშე ან სადაც ნაგებობები ატარებდნენ მხოლოდ მომსახურე ხასიათს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ურთიერთობებში. მხოლოდ მოგვიანებით, როცა ქალაქი რომი გაიზარდა და

გადაიქცა უზარმაზარი იმპერიის გაცხოველებულ ცენტრად, წარმოიშვა საქალაო სერვიტუტები, რომლებიც გამოყენებოდა განაშენიანებული მიწის ნაკვეთების მიმართ - *Servitudes praediorum urbanorum*. სერვიტუტების ყველა სახემ ქალაქში საკმაოდ დიდი გამოყენება ჰპოვეს. ყველა სასოფლო სერვიტუტი განუხრელად არის დაკავშირებული გაბატონებულ ნივთთან - *Praedium dominans*. ისინი გულისხმობდნენ ორი განცალკევებული მიწის ნაკვეთის არსებობას - *Fundus servit fundi* - ერთი ნაკვეთი ემსახურება მეორეს. სასოფლო სერვიტუტის შინაარსი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად პირობებს: სერვიტუტი უნდა უზრუნველყოფდეს გაბატონებული ნაკვეთის ინტერესებს და ანიჭებდეს მას სარგებელს, თუმცა არ იყო სავალდებულო, რომ სერვიტუტს უშუალოდ გაედიდებინა გაბატონებული ნაკვეთის შემოსავლიანობა და გაეზარდა მისი ღირებულება. მას უნდა დაეტვირთა გაბატონებულ ნაკვეთთან დაკავშირებული ნაკვეთი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი მომსახურება, თუმცა საჭირო იყო მათი უშუალო შემხებლობა. ასეთია ამ წესის არსი - ნაკვეთები უნდა იყოს მეზობლად მდებარე. სერვიტუტს უნდა უზრუნველყო მისი ბუნებრივი რესურსებით გაბატონებული ნაკვეთის მესაკუთრის მოთხოვნილებათა მუდმივი მომსახურება და არ უნდა წარმოქმნილიყო თვითნებურად და შემთხვევით - *Perpetua causa, utilitas perpetua*. ვიდრე ხორციელდებოდა ეს მუდმივი მიზანი, განაგრძობდა არსებობას სერვიტუტი, რა ცვლილებებიც არ უნდა მომხდარიყო სასოფლო ურთიერთობათა სუბიექტებში ან ნაკვეთის გასხვისების ან მისი მემკვიდრეობით გადაცემის შემთხვევაში. სერვიტუტი განუყოფელი რჩებოდა და მხოლოდ სასერვიტუტო უფლებები ნაწილდებოდა. თუ გაბატონებული ნაკვეთი რამდენიმე მემკვიდრეზე გადავიდოდა, მაშინ თითოეულ მათგანს უფლება ჰქონდა ესარგებლა მომსახურე ნაკვეთის შესაბამისი წილით - *Servitus per partes retinetur* - თითოეული იღებდა წყლის იმ ნაწილს, რომელიც საჭირო და შესაბამისი იყო მისი ნაკვეთის მოცულობისა.

## **21. Constitutiones principium.**

პრინციპსი, როგორც კანონმდებელი, ცვლის ხალხს და უბრალოდ კი არ ახორციელებს თანამდებობრივ ფუნქციებს, მაგისტრატის მსგავსად, არამედ სამისდღეშიოდ ახორციელებს სახალხო ნებას. ძალაუფლების გადატანის იდეა ასახავს III საუკუნეში ჩამოყალიბებულ პრინციპატის რეჟიმის გამამართლებელ კონცეპტუალურ ტრადიციას. პომპონიუსი პრინციპსს ახასიათებს, როგორც Populus-ის მსგავს სუვერენს. მისი აზრით, პრინციპსი დგას პოზიტიური სამართლის პირველადი წყაროს დონეზე, რომელიც საკუთარ თავში პოულობს და თვითონვე ქმნის საკანონმდებლო უფლებამოსილებებს. პომპონუსის შეხედულებით, ეს ცვლილება არის რომის სახელმწიფოს ბუნებრივი განვითარების შედეგი, რომელიც, თავისთავად, მოითხოვდა სამართლის დადგენის საშუალებათა შემცირებას და ამ უფლებამოსილების ერთი პირის ხელში თავმოყრის აუცილებლობას. საკონსტიტუციო პრინციპსს, რომელშიც გამოხატულია ახალი სუვერენის ნება, კანონზომიერად იცავს კანონი როგორც პოზიტიური სამართლის ფორმას. პომპონიუსის აზრით, „ის, რაც დაადგინა თვით პრინციპსმა, შესრულდება კანონის მაგივრად“. ულპიანე მიიჩნევს, რომ პრინციპსის ნება და ხელისუფლება უთანაბრდება ხალხისას და იმპერატორის კონსტიტუცია არის თვით კანონი. პრინციპსის კონსტიტუციასა და Lex-ს შორის განსხვავება წარმოდგენილია მარციანუსის ტექსტში: „წერილობითი ფორმის დადგენილი პირობები, რომლებიც ეწინააღმდეგება იმპერატორის ედიქტს, ან კანონს, ან იმ აქტებს, რომლებსაც გააჩნიათ კანონის ძალა... ითვლება დაუწერლად“. აღნიშნული მიდგომა განახსვავებს იმპერატორის კონსტიტუციას პოზიტიური სამართლის იმ სხვა ფორმებისგან, რომელთა მიმართ შეიძლება მივუსადაგოთ lex-ის მასშტაბები და ვივარაუდოთ, რომ კონსტიტუცია არის საკუთარი თავის კრიტერიუმი. ამ ლოგიკას მისდევს ცნობილი მაქსიმა: „პრინციპსი გათავისუფლებულია კანონისგან“. ფორმის მიხედვით, იმპერატორის კონსტიტუციები იყოფა:

1. Edicta – ზოგადი მოქმედების ნორმა;
2. Decreta – სასამართლო გადაწყვეტილება,
3. Rescripta – ცალკეული კაზუსის გადაწყვეტა, რომელიც, თავის მხრივ, იყოფოდა: subscriptiones და epistulae. III საუკუნის ბოლომდე საიმპერატორო

სამართალშემოქმედების სხვა ფორმებს შორის Rescripta დომინირებდა. რომის პოზიტიური სამართლის სტრუქტურაში Rescripta ხშირად წყვეტდა კერძო სამართლის ცალკეულ პრობლემას. პოსტკლასიკურ ეპოქაში Rescripta კარგავს უწინდელ ხარისხსა და მნიშვნელობას. Edicta პირიქით, მნიშვნელოვან როლს იძენს კერძო სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების სფეროში. ამ პერიოდში სწორედ იმპერატორის კონსტიტუციები ხდება საფუძველი სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად. 428 წ. აღმოსავლეთ რომის იმპერიის მმართველმა თეოდორიუს II-ემ მიზნად დაისახა სამართლის წყაროების ზოგადი სისტემატიზაცია. Codex Theodosianus ძალაში შევიდა 438 წ. და მან გააერთიანა კონსტანტინეს შემდეგ გამოცემული კონსტიტუციები. 528 წ. აპრილში იმპერატორმა იუსტინიანემ დაადგინა ახალი კოდექსის შექმნის აუცილებლობა, რომელიც ძალაში შევიდა 529 წლის აპრილში – Novus Codex. მან გააერთიანა ძველი კოდექსები და დაუმატა მათ Novellae Constitutiones – 439 წ. შემდგომ მიღებული ახალი კონსტიტუციები. ეს კოდექსი დაკარგულა.

## **22. Ius civile.**

ძველ რომაულ სამართალს კვირიტული სამართალი ეწოდება, ვინაიდან ის გამომდინარეობდა უძველესი კვირიტული (Quiritum) ტომიდან. ამ სახელწოდებამ თავისი კვალი დატოვა უძველეს გარიგებებში, ენობრივ ბუნებრივში, განსაკუთრებით იქ, სადაც საქმე ეხებოდა ნივთზე საკუთრების უფლებას (dominius ex iure Quiritum) – საკუთრება კვირიტული სამართლის მიხედვით. მოგვიანებით ამ სახელმწიფო სისტემას ეწოდა ცივილური (ius civile) სამართალი, რითაც ხაზგასმულია რომის მოქალაქეთა სამართლის მკაცრად ეროვნული ხასიათი. ცივილური სამართალი (სამართლის ვიწრო გაგებით) განმტკიცებული იყო, საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული, კერძო სამართლის ვიწრო ეროვნული სისტემა. უფრო ფართო გაგებით, ცივილური სამართალი მოიცავდა ცივილური სამართლის ყველა კომენტარს, რასაც იძლეოდნენ რომაელი იურისტები. XII დაფის კანონებში ჩამოყალიბებული სისტემის მიმართ.

### 23. Possessio-s cneba, saxeebi da misi dacvis ZiriTadi saSualebebi.

ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას მფლობელობა ეწოდებოდა. მფლობელობის ობიექტად მიიჩნეოდა მხოლოდ სხეულებრივი ნივთები, ხოლო უსხეულო ნივთების შესახებ რომელი იურისტები ამბობდნენ, რომ ესენი კვაზი მფლობელობის ობიექტებია. როგორც უფლება, მფლობელობა იმდენად არსებობს, რამდენადაც ის აღიარებული და დაცულია პოზიტიური სამართლით. ვიწრო გაგებით, საუბრობენ იურიდიული მფლობელობის შესახებ. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ მფლობელობასა (Possessio) და პერობას (Detentio); ინდივიდისთვის სხეულებრივი ნივთის კუთვნილების ფაქტობრივ სიტუაციას, რომელიც მიღებულია მისი ოფიციალური აღიარებისა და დაცვისგან დამოუკიდებლად. მფლობელობის, როგორც განსაკუთრებული სანივთო უფლების საგანისა ნივთის ფაქტობრივი, მატერიალური კუთვნილება, რომელიც ეფუძნება ნივთისა და ურთიერთობის უშუალო კავშირმფლობელობას, როგორც იურიდიული ვითარების ფაქტობრივი ხასიათი, რომის იურიდიული მეცნიერება განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის ნებელობითი ასპექტის განმარტებით ანუ პირის ნივთთან მატერიალური, სხეულებრივი კავშირის გარდა, გამოიყოფოდა სურვილი, გადაწყვეტილება ფლობდე ნივთს. სურვილის, როგორც ფაქტობრივი ურთიერთობის სუბიექტური მხარის კონცეპტუალური გამოყოფა არ უარყოფს მფლობელობის, როგორც ინსტიტუტის სამართლებრივ ხასიათს. სურვილზე გადატანილი აქცენტი ასახავს ამ ინსტიტუტის ნებელობით და სამართლებრივ ბუნებას. უქონოს, მძინარეს, ჩვილს არ შესწავეთ უნარი გააცნობიერონ ნივთთან კავშირი და ამიტომ არ შეუძლიათ შეიძინონ მფლობელის უფლება. ნებელობითი მომენტის არსებობა ათავისუფლებს მფლობელს ნივთთან მატერიალური კავშირის შენარჩუნების აუცილებლობისა და ვალდებულებისგან. მფლობელს შეუძლია განახორციელოს მფლობელობა სხეულით, მესამე პირის მეშვეობით, აგრეთვე შეინარჩუნოს მფლობელობა შიშველი ნებით მისი არყოფნის დროსაც. რომაელები განასხვავებდნენ მართლზომიერ და არამართლზომიერ მფლობელობას. არამართლზომიერი მფლობელობაა ძალით, ფარულად და პრეკარულად. მართლზომიერი

მფლობელობა უნდა განვასხვავოთ კეთილსინდისიერი მფლობელობისგან, როდესაც მფლობელი საკუთარ თავს მესაკუთრედ თვლის, თუმცა პრაქტიკულად არ უარყოფს, რომ არ არის ნივთის მესაკუთრე, ვინაიდან საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ მის მიერ მფლობელობის განხორციელება არავის აყენებს ზიანს. რომაელები განასხვავებენ სატიტულო მფლობელობას და უტიტულო მფლობელობას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ბუნებრივი მფლობელობა, ან პყრობას. მფლობელობა (პყრობა) მხოლოდ მაშინ მიიჩნევა ნივთის ფაქტობრივ ფლობად თუ წარმოიშობა იმ იურიდიული ფაქტის საფუძველზე, რომელიც მიიჩნევა საკმარისად მფლობელობის შესაძენად. ეს ფაქტი შეიძლება მივიჩნიოთ მართლზომიერად, როგორც წინამფლობელთან დადებული გარიგება ან უპატრონო ან მტრის ნივთის ხელში ჩაგდება ან არამართლზომიერად ნივთის მისაკუთრებად, თუ ის ხელში ჩაიგდეს უწინდელი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ. ამ დროს წარმოიშობა არამართლზომიერი მფლობელობა. სამართლებრივი საფუძვლის არსებობა მფლობელობის წარმოშობისთვის განსაზღვრავს საკუთრებაში ნივთის შექმნის მართლზომიერებას ან ხანდაზმულობით, როცა მფლობელობისა და საკუთრების უფლების შექმნა ემთხვევა ერთმანეთს. მფლობელობის, როგორც განსაკუთრებული სანივთო უფლების სპეციფიკა ვლინდება მფლობელობის დაცვის განსაკუთრებულ ხასიათში. ასეთი დაცვა ხორციელდება არა სასამართლო განხილვის ფორმით, არამედ პრეტორის ბრძანებით – ინტერდიქტული წარმოება. ადმინისტრაციული, საპოლიციო საშუალებებით მფლობელობის როგორც სანივთო უფლების, დაცვა გვიჩვენება, რომ მფლობელობა ეკუთვნის საზოგადოებას, საჯარო ორგანიზაციის წევრს და ადმინისტრაციულ მმართველობის ობიექტს.

#### 24. Successio testamentaria ძირითადი სახეები, ნამდვილობის პირობები.

ანდერძი იყო პირის ნების სამართლებრივად დადგენილი და საზეიმო ფორმით შედგენილი გადაწყვეტილება, რომელსაც სავალდებულო ძალა მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ ენიჭებოდა. ანდერძის არსი მამკვიდრებლის მონაცვლის გარკვევა იყო. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ქონება არა უბდალოდ სხვისდებოდა, არამედ ის თავის მაგივრად ასახელებდა სხვა პირს,

რომელიც, მისი ამქვეყნად არყოფნისას, მას შეცვლიდა. ამით უნივერსალური და სინგულარული მონაცვლეობა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან.. რომის საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული იყო რომაული ანდერძის ისტორიული ფორმებიც. არქაულ პერიოდში, ინდივიდუალური ინტერესების წინა პლანზე წამოწევა უშუალოდ უკავშირდებოდა ძველი მამასახლისის სწრაფვას – ოჯახის უფროსობა საკუთარი ვაჟიშვილისათვის დაეტოვებინა, და ამით, წინაპრებთან ყველაზე ახლოს მდგომი, სხვა აგნატი ნათესავი ჩამოეცილებინა. ასეთი სურვილი სახალხოდ გაცხადებას საჭიროებდა, რაც კურიის წმინდა კრებაზე ფორმალურ დადასტურებასა და დამოწმებას ითხოვდა. წმინდა კრებაზე, რომელიც წელიწადში ორჯერ მოიწვეოდა, ოჯახის უფროსს დაღმავალი ხაზის ნათესავების სასარგებლოდ, გაკეთებული მისი არჩევანის ობიექტური მიზეზები უნდა დაესახელებინა. ინდივიდუალური ნების ასეთი ფორმით გამოხატვა, საომრად გამზადებული ჯარის წინაშე გაცხადებული ანდერძის ანალოგი იყო. ანდერძის მესამე სახის – ანდერძი ლიბრალური რიტუალი დასადებად საჭირო იყო ხუთი მოწმე და მესასწორე. აღნიშნული რიტუალის განსახორციელებლად მოანდერძის ხელქვეითები ან მისი მეგობრები, მოწმეებად არ დაიშვებოდნენ, რადგან ეს აქტი უშუალოდ მონაწილე პირთა ინტერესებს ეხებოდა. ანდერძი იურიდიულ ძალას იძენდა, მაგრამ, ტექსტის გაცხადება არ დაიშვებოდა. ანდერძის ტექსტიანი ფირფიტები ერთად იკვრებოდა და მათ მოწმეთა ბეჭდებს არტყამდნენ. სულ იყო შვიდი ბეჭედი: ხუთი მოწმეების, ერთი ოჯახის მიმღების და ერთიც მაგისტრატის. ბეჭედთა ამ რაოდენობას ითხოვდა პრეტორი, რათა პრეტორული სამართლით დაცულ საბუთს, ანდერძის ფორმა მიეღო. მოგვიანებით, საბუთზე ხელის მოწერაც სავალდებულო გახდა. მსგავსი ფორმით ანდერძი კლასიკურ ეპოქაში დგებოდა. ანდერძის მთავარ არსობრივ ელემენტს წარმოადგენდა მემკვიდრეების დასახელება, თუ მემკვიდრის დანიშვნას არ ჰქონდა იურიდიული ძალა, ანდერძი მთლიანად ბათილად ითვლებოდა. მემკვიდრეის დასახელებას გლობალური მნიშვნელობა ჰქონდა და იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელი სამკვიდროს თუნდაც მცირე ნაწილს ანდერძით მემკვიდრეს უტოვებდა, კანონით

მემკვიდრეების მოიწვევა აღარ დაიშვებოდა; გარდა ამისა, რომის სამართალში დამკვიდრდა ცნება `ერთხელ მემკვიდრე, სამუდამოდ მემკვიდრე`რას შემდეგ ნიშნავდა: მემკვიდრე არც რეზოლუციური პირობით და არც რაიმე ვადით არ ინიშნებოდა. რომის სამართალმა ასევე დაადგინა, რომ მამის გარდაცვალებიდან მთვარის ათი თვის განმავლობაში დაბადებული ბავშვი მამის მემკვიდრე ხდებოდა. ანდერძით მოანდერძეს სამკვიდროდან ცალკეული ნივთების მესამე პირებისათვის გადაცემაც შეეძლო. ასეთ განკარგულებას საანდერძო დანაკისრი ლეგატი ეწოდებოდა. საანდერძო დანაკისრის მიზანი ლეგატარიუმისათვის მოგების მოტანა და არ მემკვიდრის მდგომარეობის გაეუარესება იყო. თუ საანდერძო დანაკისრი მემკვიდრის დასჯა ისახავდა მიზნად, მაშინ ის ბათილდებოდა. ლეგატის გადაცემა მხოლოდ მემკვიდრეზე შეიძლებოდა, ხოლო ლეგატარიუმისათვის დაკისრებული ვალდებულება ბათილად ითვლებოდა.

იმპერიის პერიოდში, განსაკუთრებული სიტყვიერი ან წერილობითი თხოვნის საფუძველზე, განვითარდა საანდერძო დანაკისრის სხვა ფორმა \_ ფიდეიკომისები სიცოცხლის ბოლო წუთებში მამკვიდრებელი მემკვიდრეს მიმართავდა თხოვნით, რომლის თანახმადაც, მემკვიდრეს, რომელიმე პირის სასარგებლოდ, რაიმე ქმედება უნდა შეესრულებინა ან მისთვის რაიმე ნივთი უნდა გადაეცა. (ფიდეიკომისის საგანი შეიძლებოდა მონისათვის თავისუფლების მინიჭებაც ყოფილიყო. თუ მონა მამკვიდრებელს არ ეკუთვნოდა, მაშინ ფიდეიკომისით დატვირთულ მემკვიდრეს მონის გამოსყიდვა და გააზატება ევალებოდა. მაგრამ თუ მონის ბატონი მონის გაყიდვაზე უარს ამბობდა, ან არარეალურად დიდ ფასს ითხოვდა, მაშინ მონის ფიდეიკომისი იქვითებოდა.

## **25. საკუთრების უფლების შინაარსი, წარმოშობისა და შეზღუდვის გზები.**

საკუთრების უფლების დახასიათებისას, შესაძლებელია დადგინდეს ის სამართლებრივი ფორმულა, რომელიც ასახავს `საკუთრების` ცნების შინაარსს: *uti, frui, habere, possidere*. ამრიგად, სარგებლობა ნაყოფის მიღება და განკარგვა წარმოადგენს ნივთის გამოყენების სამ საშუალებას. *Uti* \_ იყო ნივთიდან რაიმე სარგებლის მიღების უფლება, მისი გაცვლის ან ნივთის მოხების განზრახვის



გარეშე, რაც მხოლოდ იმ ქონების მიმართაა შესაძლებელი, რომელიც მოუხმარ ქონებას წარმოადგენდა. *Frui* – სარგებლობის იმ აქტებს განეკუთვნებოდა, რომლებიც ისეთი დედა ნივთის მიერ პერიოდულად შექმნილი ნაყოფის მოხმარებას გულისხმობდა ძირითადი ნივთის არსის შეუცვლელად. *Habere* გაგებული უნდა იქნას, როგორც რეალური შედეგის მქონე ფლობა. ითვლებოდა, რომ რაიმეს ფლობს ის, ვისაც აღნიშნულის მიმართ სარჩელის წარდგენა შეუძლია; *Prossidere* მიეკუთვნება პოსსესსიო-ს, ანუ ნივთის ფაქტობრივი ფლობის ვითარებას, რომელსაც პრეტორი იცავდა, საკუთარი ინტერდიქტების მეშვეობით.

საკუთრების უფლების შექმნის საშუალების კლასიფიკაციას ბუნებითი სამართლის ცივილური სამართლის და ხალხის სამართლის საფუძველზე ხდებოდა. რომის სამართალში ნივთის შექმნის სხვადასხვა სახეს განასხვავებდნენ. ესენია: ოკუპაცია, განძი, გადამუშავება, შტანთქმა, შექმნა ხელშეკრულებით და ხანდაზმულობა. *Occupatio* შემდეგი საშუალებებით ხორციელდებოდა: ა) გარეულ მხეცებზე, ფრინველებზე ნადირობა და თევზაობა. ბ) მოწინაამდგისათვის წართმეული სამხედრო ნადავლი; გ) ზღვაში ამოზიდული კუნძული და ზღვის მიერ ნაპირზე გამორიყული ნივთები; დ) უწინდელი მესაკუთრის მიერ გადაგდებული ნივთები-ბეითალმან ქონება. განძი – დაფლული ნივთების გარკვეული რაოდენობაა, რომელთა მიმართ შეუძლებელია მესაკუთრის დადგენა; განძი იმის საკუთრება ხდება, ვინც მას აღმოაჩენს, ვინაიდან ის სხვას არავის ეკუთვნის; თუ რომელიმე პირი ქმნის ახალ ფორმას ან ახალ ნივთს, სხვა პირისათვის მიკუთვნებული მასალისაგან, ადგილი ჰქონდა ნივთის გადამუშავებას. თუ შესაძლებელი იყო ნივთისათვის საწყისი მდგომარეობის მიცემა, ის იმ მასალის მესაკუთრეს ეკუთვნოდა, რომლისგანაც ნივთი იყო დამზადებული და, პირიქით, ნივთი მის დამამზადებელ ხელოსანს ეკუთვნის, თუ შეუძლებელია ნივთისათვის საწყისი მდგომარეობის დაბრუნება. თუ რაიმე ნივთი მთლიანად შთანთქმულია სხვა ნივთის მიერ, პირველი ნივთის მესაკუთრე იძენს იმ ნივთსაც, რომელიც მას შეუერთეს. არსებობდა საკუთრების უფლების შექმნა ხელშეკრულებით. ხელშეკრულების 3 სახე არსებობდა. ესენია *mancipatio*, *traditio* და *in iure cessio*. მანციპაციის დროს ხდებოდა რიტუალის ჩატარება 5 მოწმისა და

მესაწოლის თანდასწრებით. მანციპაციის დროს ნივთი გარკვეული საფასურის სანაცვლოდ რეალურად გადაეცემოდა პირს. იმ იურე ცესიოში მოჩვენებითი სასამართლო პროცესი იგულისხმებოდა. შემძენი ითხოვდა ნივთს ხოლო მეპატრონე ნივთზე საკუთრების უფლებას უარყოფდა ან ადასტურებდა. ტრადიციო იყო გადაცემა. ტრადიციოტი იგულისხმებოდა შემძენისთვის გამსხვისებლისაგან ნივთის ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემა. მესაკუთრეს შეეძლო ნებაყოფლობით შეეზღუდა თავისი საკუთრების უფლება, თუ სერვიტუტით დატვირთავდა საკუთარ ქონებას. საკუთრების უფლების სხვაგვარი შეზღუდვები კი სამართლით იყო გათვალისწინებული, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. საკუთრების უფლების შეზღუდვა ხდებოდა: 1. რელიგიური მოსაზრებით. XII დაფის კანონებით იკრძალებოდა გვამების დაკრძალვა და კრემაცია ქალაქის ტერიტორიაზე და მის ირგვლივ, თუ სამარხსა და უახლოეს შენობას შორის მანძილი 60 ფუტზე ნაკლები იყო, ასევე პონტიტიკოსების თანხმობის გარეშე გვამების ექსგუმაცია 2. სამშენებლო ნორმების დაცვის აუცილებლობით. კლასიკური სამართალი შეიცავდა ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ შენობა-ნაგებობათა მაქსიმალურ სიმაღლეს, შენობებს შორის მანძილსა და მათ გარეგნულ იერ-სახეს; 3. საზოგადოებრივი გზების გაყვანის აუცილებლობით. XII დაფის კანონები ითვალისწინებდა იმ მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა მოვალეობებს, რომლებიც საზოგადოებრივი გზების გასწვრივ იყო განლაგებული. მათ ევალებოდათ გზების სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობის მიღება. თუ საზოგადოებრივი გზა იმდენად დაზიანდა, რომ შეუძლებელი გახდა მასზედ შეუფერხებელი გავლა, მიმდებარე ნაკვეთების მესაკუთრეებს ევალებოდათ, საკუთარ მიწაზე, საჭაპანე ტრანსპორტის გატარება; 4. ზღვის ნაპირზე მდებარე მიწის ნაკვეთების მიმართ დადგენილი შეზღუდვა გულისხმობდა მისი მესაკუთრეების მოვალეობას, შეუფერხებლად გაეტარებინათ საკუთარ ტერიტორიაზე მეზღვაურები და მეთევზეები, ნაოსნობისა და მეთევზეობის განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით; 5. მიწის წიაღის სარგებლობის მოტივით. კლასიკური სამართალი დასაშვებად მიიჩნევდა მატერიალური რესურსების მოპოვებას მხოლოდ საზოგადოებრივ

ტერიტორიებზე და კატეგორიულად კრძალავდა სარეწაო საქმიანობას კერძო პირების კუთვნილ ნივთებზე; 6. საზოგადოებრივი აუცილებლობით განპირობებული ექსპროპრიაცია. კლასიკური სამართალი არ ითვალისწინებდა რაიმე ზოგად პრინციპს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მოქალაქისათვის ქონების უსასყიდლო ჩამორთმევა. თუმცა, მაგისტრატი საკუთარი იმპერიუმ-ის ძალით და სენატის თანხმობით რიგ კონკრეტულ შემთხვევაში მიმართავდა მოქალაქისათვის ქონების ჩამორთმევას, კონფისკაციის სახით ან მონის მიერ დანაშაულის ჩადენის გამო. გარკვეული შეზღუდვები იყო დაწესებული ასევე მიწაზეც. კერძოდ: 1. ყოველ მეორე დღეს, მიწის მესაკუთრე ვალდებული იყო საკუთარ მიწის ნაკვეთზე შეეშვა მეზობელი, მეზობლის ეზოში დარგული ხიდან ჩამოვარდნილი ნაყოფის ასაკრეფად; 2. მესაკუთრეს არ ევალდებოდა ეთმინა მეზობლის შენობის ნაწილი, თუ მისი ნაკვეთის საზღვარს მეზობლის შენობის ნაწილი გადმოყურებდა, ან თუ მეზობლის კედელი ნახევარ ფუტზე მეტად იყო გაწეული მის ნაკვეთზე; 3. გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, მესაკუთრეს თავის ნაკვეთზე უნდა გაეტარებინა ყველა ის პირი, ვინც მისი ნაკვეთის მეზობლად მდებარე სასაფლაოზე მიდიოდა.

## **26. Obligatio ex contractu სახეები და მათი ძირითადი ნიშნები.**

კონტრაქტი არის ვალდებულებითი ხელშეკრულება. კონტრაქტები ოთხი სახის იყო. კონტრაქტების დამახასიათებელი ნიშანი იმაში მდგომარეობდა, რომ ან უნდა წარმოთქმულიყო გარკვეული სიტყვები ან უნდა გამოყენებულიყო წერილობითი ფორმა, ან კრედიტორის მიერ გარკვეული ქმედება უნდა შესრულებულიყო კონტრაგენტებს შორის არაფორმალური შეთანხმება უნდა მომხდარიყო. ამიტომ, განასხვავებენ ოთხი სახის ხელშეკრულებას: 1) ვერბალური – ზეპირი ფორმის; 2) ლიტერალური – დაწერილი ფორმის; 3) რეალური – გარკვეული მოქმედების შესრულების აუცილებლობით; 4) კონსესუალური – შეთანხმებითი კონტრაქტები. კონტრაქტების პირველი ორი სახეობა ფორმალურ ხელშეკრულებებს, ბოლო ორი – არაფორმალურ ანუ მატერიალურ ხელშეკრულებებს განეკუთვნება. I.

ვერბალური კონტრაქტი იდებოდა იმ პირობით, რომ კონტრაგენტებს შეეძლოთ

საუბარი და მოსმენა ანუ არ იქნებოდნენ ყრუ-მუნჯები და ისინი ერთ ადგილას – ხელშეკრულების დადების დროს – იქნებოდნენ. კლასიკურ სამართალში ცნობილია ვერბალური კონტრაქტის სამი ნაირსახეობა: a) stipulatio, b) dotis dictio da g) operarum iurata promissio. ა) stipulatio ზეპირი ფორმის იდებოდა. სტიპულატორი, reus stipulatori, უშუალოდ, ზეპირად უსვამდა შეკითხვას მეორე პირს, რომელიც ასევე ზეპირად სცემდა პასუხს. თავდაპირველად, სიტყვათა წარმოთქმა სამართლით იყო განსაზღვრული, თუმცა, მოგვიანებით მხარეებს, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეეძლოთ სიტყვების შერჩევა. ბ) Dotis dictio იყო დოს ზეპირი დადგენა სიტყვებით. რომელიც, ჩვეულებრივ, შემდეგი ფრაზის გამოყენებით ხორციელდებოდა: რამდენი პატარძალი, იმდენი მზითვი შენ. გ) Operatum iurata promissio, გააზატებულები, თავისუფლების მოპოვებისას, ჩვეულებრივ, პატრონს, სტიპულაციისა ან ფიცით დადებული დაპირებით, რაიმე მომსახურების განხორციელებას პირდებოდნენ. II. მეორე სახეა ლიტერალური კონტრაქტი, რომელიც იუსტინიანეს დროში თითქმის გამოვიდა ხმარებიდან. ლიტერალური კონტრაქტი დაიდებოდა ფულადი სესხების გზით. III. შემდეგი სახეა რეალური კონტრაქტები. ლე კონტრაქტების კატეგორია განისაზღვრებოდა მათი დადების ფორმის მიხედვით: მხარეთა შეთანხმების გარდა, ვალდებულების წარმოშობისათვის, მოვალისათვის ნივთის გადაცემა იყო სავალდებულო. იუსტინიანეს სამართალმა ორი სახის რეალური კონტრაქტები იცოდა: სახელიანი, სახელის მითითებით და უსახელო ხელშეკრულებები. ზოგიერთი რეალური კონტრაქტი რაიმეს დაბრუნებისაკენ იყო მიმართული. ასეთ კონტრაქტებს განეკუთვნებოდა: 1.სესხი, 2.განსაზღვრული ნივთის უსასყიდლოდ სესხად გადაცემა სარგებლობის მიზნით და იმ პირობით, რომ მისი დაბრუნება ნატურით უნდა მოხდეს, 3.პირისათვის ნივთის შესანახად გადაცემა, 4.გირავნობის ხელშეკრულება. რაც შეეხება უსახელო კონტრაქტებს, თუ ერთი პირი, მეორის სასარგებლოდ, რაიმე მოქმედებას ასრულებდა და ამავე დროს, არსებობდა არაფორმალური შეთანხმება იმის თაობაზე, რომ მოვალე ზემოქმედებას განახორციელებდა, მოქმედების მიმდების მიმართ ვალდებულება არ წარმოიშვებოდა. ამრიგად, თუ მოქმედების მიმღები ნებაყოფლობით არ

შეასრულებდა დანაპირებს, წინა ქმედების განმხორციელებელ პირს, მისგან მხოლოდ მიღებულის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეეძლო. IV.

კონსენსუალური კონტრაქტები. ამ ხელშეკრულების დადებისას არ იყო საჭირო მხარეთა სავალდებულო დასწრება და ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საკმარისი იყო თანხმობის წერილობითი ფორმით ან წარმომადგენლის მეშვეობით გამოხატვა. ხელშეკრულების აღნიშნული სახის თავისებურებად მისი ორმხრივობა ითვლებოდა. იგი მისი მონაწილე მხარეებისათვის, ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებს წარმოშობდა, რომელთა დაცვა ისეთი სარჩელებით იყო შესაძლებელი, რომლებსაც ორივე მხარე იყენებდა ვალდებულებების დამრღვევი პირის მიმართ. კონსენსუალური ხელშეკრულებები იყო ყიდვა-გაყიდვა; ქირავნობა; ამხანაგობა; დავალების ხელშეკრულება. კონსენსუალური შეტანხმების დროს, კანონიერი ძალის მქონე ხელშეკრულების დადებისათვის, სავსებით საკმარისია ცონცენსუს არაფორმალური გამოხატვა. ეს ხელშეკრულებები შეიძლებოდა გაუქმებულიყო არაფორმალური ურთიერთშეთანხმებით. სხვა არაფორმალური შეთანხმებები (pacta) არ წარმოშობდნენ ვალდებულებებს, მათ შორის ნატურალურსაც.

## **27. Emptio-venditio ნამდვილობის პირობები.**

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება აფორმებდა შეთანხმებას ნივთის სასყიდლიანი შეძენის შესახებ. ყიდვა-გაყიდვა არის კონსენსუალური კონტრაქტი, რომლის მეშვეობით ერთი მხარე – გამყიდველი მოვალეა, ნივთით დაუბრკოლებელ მფლობელობაში, შეიყვანოს მეორე მხარე – მყიდველი, რომელიც თავის მხრივ მოვალეა გამყიდველს გადაუხადოს ფულის გარკვეული თანხა. ყიდვა-გაყიდვის საქონლად ნებისმიერი, სხეულებრივი და უსხეულო ნივთი გამოიყენებოდა. ყიდვა-გაყიდვის ობიექტი შეიძლება მომავალი ნივთიც გამხდარიყო: მიწის ნაკვეთიდან მიღებული ნაყოფი, პირუტყვის ნამატი და სხვა. ამრიგად, კონსენსუალური კონტრაქტის დადებისას, საკონტრაქტო ვალდებულების წარმოშობისათვის საკმარისია მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევა. შეთანხმების მიღწევის ნიშნად გამოდგებოდა მაგ: ყიდვა-გაყიდვის დროს arra (ბე) მიცემა.

თითოეულ მხარეს საკუთარი ვალდებულება კეთილსინდისიერად უნდა შეესრულებინა, რათა მეორე მხარის წინააღმდეგ სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა ჰქონოდა. ყიდვა – გაყიდვის შემადგენელი ელემენტები იყო: 1) მხარეთა ურთიერთშეთანხმება, 2) ხელშეკრულების საგანი (ნივთი) და 3) ფასი. 1. მხარეთა ურთიერთშეთანხმება - თანხმობის გამოხატვა ნებისმიერი ფორმით იყო შესაძლებელი, ხოლო, თუ გამოიყენებოდა წერილობითი ფორმა, მას მხოლოდ მტკიცებულების მნიშვნელობა ჰქონდა. რომელი იურისტები გადაწყვეტ მნიშვნელობას სწორედ განზრახვას, ანუ ნებას ანიჭებდნენ. თუ მხარეთა ნება განსხვავდებოდა გასაყიდი საგნის ფასის მიმართ, იურისტები მიიჩნევდნენ, რომ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და ხელშეკრულებაც დადებულად არ ჩაითვლებოდა. ხოლო, როცა საქმე, ნივთის ხარისხის შესახებ, მყიდველის შეცდომაში შეყვანას ეხებოდა, მაშინ შეთანხმების მისაღწევად არსებული წინააღმდეგობა დაძლეულად მიიჩნეოდა და ხელშეკრულების ნამდვილობა ეჭვგარეშე იყო. 2. ნივთი - სავაჭრო ხელშეკრულების ჯეროვან საგნად საქონელი გამოდიოდა. საქონელი, გარკვეული სახის, ცვალებადი ნივთებით იყო წარმოდგენილი. დასაშვები იყო მომავალი ნივთების ყიდვა-გაყიდვა მაგ: ჯერ არ აღებული მოსავალი. ნამდვილად მიიჩნეოდა სხვა ნივთის გაყიდვაც. თუმცა, ბათილი იყო, მყიდველის საკუთრებაში არსებული, ნივთის გაყიდვა, აგრეთვე ის ნივთები, რომლებიც გარდაცვლილს ეკუთვნოდა, თუ პირი, ხელშეკრულების დადებამდე, ან მისი დადების მომენტში, გარდაიცვლებოდა. 3. ფასი- ფასის განსაზღვრა მესამე პირის ნებაზე არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ნივთის ფასი ნამდვილად უნდა არსებობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყიდვა-გაყიდვას კი არა, ჩუქებას ექნებოდა ადგილი. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ნივთი ნაყოფს ან ნამატს იძლეოდა, გამყიდველი მოვალე იყო გადაეცა ისინი მყიდველისათვის. მყიდველის მოვალეობაში შედიოდა ნივთის შესაძენი ფასის გადახდა. გამყიდველის მოვალეობაში შედიოდა: მყიდველისათვის გაყიდული ნივთის გადაცემა, გამყიდველი პასუხს აგებდა ბოროტი განზრახვისთვის, ხოლო,

საკუთარი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში., გამყიდველი  
პასუხისმგებელი იყო ნივთის ფარული ნაკლის გამოც.